ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

**გოგა წურწუმია: „ჩემი ძმა მიყვარს და მეყვარება, თავს არ დავიცავ“**



გვ.5

**1 ოქტომბრიდან**

რევაზ მიშველაძე

**რჩეული ნოველები**

ორტომეული ტომი 2



ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

სამშაბათი, 1 ოქტომბერი, 2019 №232 (8186) ფასი: 60 თეთრი

# სააკაშვილი: „მე ვარ მართლმადიდებელი ქრისტიანი, ბოკერია კი ქართული ტრადიციების მტერია“



გვ.2

ბოკერია: „სააკაშვილი ალბათ ჩემი 9-წლიანი მმართველობის მსხვერპლად გამოაცხადებს თავს“

## „ვაცადოთ „ოცნებას“, რაიმე სისულელეს აუცილებლად ჩაიდენს“



გვ.3

თორნიკე შარაშენიძე: „ნაციონალები და „ევროპული საქართველო“ ერთი ოჯახია, რომელიც დღეს განქორწინებულია“

## დავით ბერძენიშვილი: „სააკაშვილი დასუსტებულ ივანიშვილთანაც დამარცხდება“



გვ.2

„მისი განცხადება აგრესიული და დემოკრატიასთან თავსებადი არაა“

## ხათუნა ლაგაზიძე: „კვირიკაშვილმა გაცილებით მეტი იცის, ვიდრე ლაპარაკობს“



გვ.3

„მასაც უჭირავს ჯოკერი და მხოლოდ „ოცნებას“ არ შეუძლია მის კარში პენალტის დარტყმა“



გვ.3

## გიორგი ვაშაძე: „თუ შეძლებენ, ყველას ჩასვამენ ციხეში“

## დავით დარჩიაშვილი: „სააკაშვილის განცხადებები ოპოზიციას აზიანებს“



გვ.4

**სამართალი** გვ.5

## ნოდარ მელაძემ და ნანუკა ჟორჟოლიანმა „რუსთავი 2“-ს სასამართლოში უჩივლეს



## ვაკეში 2 ადამიანი დაჭრეს



## საჰაერო ტერორიზმის რუსული ქრონიკები

პარალელები 1993 წლის ბაბუშერას ტრაგედიასა და უკრაინაში მალაიზიური ბოინგის ჩამოგდებას შორის




გვ.5






2

**ეკა ბესელია: „ოცნების“ 4 წევრს ინტიმური კადრების გავრცელებით ემუქრებიან“**

„მათგან 1 მამაკაცია“



2

**„მთავარის“ ჟურნალისტი ემა გოგოხია ივანიშვილის დაცვამ „პარაგრაფიდან“ ხელში აყვანილი გაიყვანა**



6

**ამერიკელი დემოკრატები ტრამპი-პუტინის საუბრების გაცნობას მოითხოვენ**



6

**„პატიოსანი“ ჩინოსანი სარდაფში ტონობით ოქროს მალავდა**

ISSN 1987-9385

# სააკაშვილი: „მე ვარ მართლმადიდებელი ქრისტიანი, ბოკერია კი ქართული ტრადიციების მტერია“

## ბოკერია: „სააკაშვილი ალბათ ჩემი 9-წლიანი მმართველობის მსხვერპლად გამოაცხადებს თავს“

29 სექტემბერს საღამოს „მთავარი არხის“ გადაცემაში ნიკა გვარამიასა და ეკა კვესიტაძესთან მიხეილ სააკაშვილმა მასა და გიგა ბოკერიას შორის განსხვავებაზე ისაუბრა.

– მე ვარ მართლმადიდებელი ქრისტიანი, გიგა ბოკერია კი ყველაფერს აკეთებს ქართული ეკლესიის და ტრადიციული ფასეულობების წინააღმდეგ, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ამ ფრაზამ გვარამიას და კვესიტაძის სრული შოკი გამოიწვია, ამიტომაც სააკაშვილმა დააზუსტა.

– ევროპელობა და ქრისტიანული ფასეულობები ერთმანეთთან თავსებადია. ევროპა ამ ფასეულობებით ცხოვრობს, – თქვა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი აზრით, ბოკერიამ და სხვა ადამიანებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ჩვენი დისტანცირება მომხდარიყო ტრადიციული, ქართული, ქრისტიანული ფასეულობებიდან.

– რაც შეეხება ბატონ ბოკერიას, აქ არ არის პიროვნული განსხვავებები, აქ არის ფუნდამენტური განსხვავებები. მე ჩემი შეხედულებებით და მრწამსით ვარ მართლმადიდებელი ქრისტიანი, მიუხედავად იმისა, ვინც რა უნდა თქვას. ვატარებ ჯვარს.

ბოკერიამ და სხვა ადამიანებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ჩვენი დისტანცირება მომხდარიყო ჩვენი ტრადიციული, ქართული, ქრისტიანული ფასეულობებიდან.

ბოკერია არის ყველაფერი, რაც არის ქართული ტრადიციების წინააღმდეგ და ანტიქრისტიანული. ჩემი თვალსაზრისი ასეთია, – განაცხადა სააკაშვილმა.

გადაცემის წამყვანმა სააკაშვილს შეახსენა, რომ იგივე პრეტენზიებს უყენებენ თავად მიხეილ სააკაშვილსაც პრორუსული, პროპუტინისტური ძალები, როდესაც აცხადებენ, რომ მათ შორის სააკაშვილმა მოახდინა ქართული საზოგადოების დისტანცირება ტრადიციებისგან, თუმცა, ვერც ერთი მაგალითი ვერ მოჰყავთ.



– ჩემ წინააღმდეგ ამას ვერ გამოიყენებენ იმიტომ, რომ 600 ეკლესია მაქვს აშენებული ჩემი ინიციატივით, მათ შორის, ბაგრატი. ეკლესიაში არ არის მარტო საქმე, ეკლესია ერთ-ერთი ელემენტია. ჩვენი ცხოვრების წესი, ჩვენი ტრადიციები, ის, რაც არის ყველაფერი ქართული და მნიშვნელოვანი, არაფერი ანტიდასავლური ამაში არ არის, – განაცხადა სააკაშვილმა.

კითხვაზე, რატომ აძლევდა სააკაშვილი მისი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ამის საშუალებას გიგა ბოკერიას, საქართველოს მე-3 პრეზიდენტმა ასე უპასუხა

– შეცდომები ვის არ აქვს დაშვებული.

სააკაშვილის სიტყვებს, მასა და ბოკერიას შორის განსხვავებაზე, გიგია ბოკერიას მეუღლე თამარ ჩერგოლეიშვილი ფეისბუქში თითქმის მაშინვე გამოეხმაურა.

– ვასაძის კარიკატურობა რაღაა ახლა. კაი, რა მიშა!

იმ ორი ჟურნალისტის საყურადღებოდ მინდა ვთქვა, სააკაშვილი რომ ჰყავდათ ეთერში და შოკში არიან.

რა გიკვირთ? – გადალახული აქვს მაგ კაცს ის წერტილი, საიდანაც უკან არ ბრუნდებიან. თავის დროზე, სუსტი რგოლები რომ არ ეპოვა ჩვენში და კედელივით დავმდგარიყავით – დაგვეჯახებოდა და მოჯდებოდა. მისთვისაც კარგი იქნებოდა და ქვეყნისთვისაც. მაგრამ, მაგან სუსტი რგოლები იპოვა, გაგვარღვია, პარტია დაშალა და ნარჩენს ხელყუმბარასავით იქნევს.

მის გადასარჩენადაც ჯობდა, თავისი ვერ გაეტანა! მცირე, მაგრამ მაინც შანსი იყო, აქამდე არ მოსულიყო. არადა, რა საწყენია? რამხელა მემკვიდრეობის ფიგურაა და რა მდგომარეობაში ჩაიგდო თავი, – დაწერა თამარ ჩერგოლეიშვილმა.

გუშინ, 30 სექტემბერს კი, სააკაშვილის განცხადებას თავად გიგა ბოკერია გამოეხმაურა.

– სააკაშვილი მალე ალბათ, ჩემი 9-წლიანი მმართველობის მსხვერპლად გამოაცხადებს თავს, – თქვა მან.

მისი აზრით, ვარდების რევოლუციის როგორც მიღწევების, ისე მძიმე ჩავარდნების მემკვიდრე არის „ევროპული საქართველო“.

– ჩვენი პოლიტიკური გუნდი და არა სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობა, – დააზუსტა გიგა ბოკერიამ.

# დავით ბერძენიშვილი: „სააკაშვილი დასუსტებულ ივანიშვილთანაც დამარცხდება“

## „მისი განცხადება აგრესიული და დემოკრატიასთან თავსებადი არაა“

იაგო ნაცვლიშვილი

29 სექტემბერს „მთავარი არხის“ ეთერში გადაცემა „აქცენტებში“ საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ, რომ მასა და მის ყოფილ თანაგუნდელ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერ გიგა ბოკერიას შორის ფუნდამენტური განსხვავებებია, რაც გამოიხატება იმაში, რომ თავად „მართლმადიდებელი ქრისტიანია, ჯვარი უკეთია“, ბოკერია კი „ტრადიციებთან მებრძოლ ანტიქრისტიანად“ მოიხსენია. სააკაშვილის განცხადებას გამოეხმაურნენ „ევროპულ საქართველოში“ და ის მწვავედ გააკრიტიკეს.



„ფარისევლობა და სირცხვილი. მრცხვენია, რომ ადამიანი, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი შემოქმედი იყო, ადამიანი, რომელმაც ამ ქვეყანაში, როგორც პრეზიდენტმა, ძალიან ბევრი რამ გააკეთა, ასეთ მარაზმამდე დაეცა“ – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

გიგი უგულავა კი აცხადებს, რომ როდესაც პოლიტიკური გასაჭირი იყო და შავი ჯიპების ჩამორიგება გადაწყვიტა ეკლესიის მსახურებისთვის, თბილისის ყოფილი მერის თქმით, ის და გიგა ბოკერია ამას ეწინააღმდეგებოდნენ.

რას ნიშნავს არჩევნებამდე 1 წლით ადრე ორი მთავარი ოპოზიციური პარტიის კინკლაობა და ხომ არ ასხამს ეს ივანიშვილის წისქვილზე წყალს? – ამ და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი **დავით ბერძენიშვილი** პასუხობს:

***– მოვისმინეთ სააკაშვილის განცხადება და შემდეგ უკვე „ევროპული საქართველოს“ პასუხი. არის თუ არა ეს ის, რაც საზოგადოებას და ოპოზიციას აწყობს? ივანიშვილის წისქვილზე ხომ არ ასხამს წყალს?***

– ეს კარგი არ არის. ამ თვალსაზრისით მიხეილ სააკაშვილის ტექსტი იყო განსაკუთრებით აგრესიული და უსამართლო. სულ ახლახან გამოხატა „რესპუბლიკური პარტიის“ პოზიცია პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა თამარ კორძაიამ „ტვ პირველის“ ეთერში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთავარი ამოცანა ქვეყანაში არის ლიბერალურ-დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, ხელისუფლების დანაწილება და არა ერთმმართველობა. ერთმმართველობა ჩვენ არც მიხეილ სააკაშვილის მოგვწონდა თავის დროზე და არც

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ეკა ბესელია: „ოცნების“ 4 წევრს ინტიმური კადრების გავრცელებით ემუქრებიან“

## „მათგან 1 მამაკაცია“

დამოუკიდებელი დეპუტატის, ეკა ბესელიას ინფორმაციით, პირები, რომლებსაც პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებით ემუქრებიან, მმართველი გუნდის წევრები არიან.

როგორც ბესელიამ ჟურნალისტებს პროკურატურაში გასაუბრების შემდეგ განუცხადა, მას ოთხი კონკრეტული შემთხვევის შესახებ აქვს ინფორმაცია. ბესელიას განმარტებით, აღნიშნული ოთხი პირიდან ერთი მამაკაცია, თუმცა არ აკონკრეტებს, არის თუ არა რომელიმე მათგანი მინისტრი.

ამასთან, მისი თქმით, სახელების და გვარების დასახელების გარეშე გამოძიებას უამბო როგორც აღნიშნული ოთხი შემთხვევის შესახებ, ისე „დანაშაულებრივ კავშირზე, რომელიც სასამართლოს გარკვეულ გავლენიან ჯგუფსა და პარლამენტის წევრებს შორის არსებობს“.

– კონკრეტულად დავასახელე ზარდიაშვილი-მათიკაშვილი. მაქვს ეს ინფორმაციები და ეს კავშირები პირდაპირ მეტყველებს უკანონო, პირადი ინტერესებით მოქმედებაზე...

მე ვიცი ოთხი საკმაოდ სპეციფიკური შემთხვევა. შეიძლება იყოს მეტი. მმართველ გუნდში არიან... რამდენიმემ პირადად მითხრა, რამდენიმე ადამიანის შესახებ პირადად შევიტყვე, როგორც პარლამენტის წევრმა, – განაცხადა ბესელიამ და განმარტა, რომ არ აქვს ინფორმაცია, მმართველი გუნდის წევრების მსგავსად, რამდენად ემუქრებიან ანალოგიური კადრების გავრცელებით ოპოზიციის წარმომადგენლებსაც.

უკავშირებს თუ არა მმართველი გუნდის ზოგიერთი წევრის მიმართ განხორციელებულ მუქარას უშუალოდ ვანო ზარდიაშვილს, რომლის მონაწილეობასაც ბესელია მისი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებაში არ გამორიცხავს?



ამ კითხვაზე დეპუტატმა უპასუხა, რომ მისი შემთხვევა სხვა იყო და ეს არის სხვა შემთხვევა.

კიდევ ერთ შეკითხვაზე კი, რომელიც შეეხებოდა იმას, იცის თუ არა ეკა ბესელიამ ადამიანთა კონკრეტული წრე, რომელიც მუქარას ახორციელებს, დეპუტატმა აღნიშნა, რომ ეს მისთვის ცნობილია, თუმცა საჯაროდ ვერ იტყვის.

– ჩემთვის ცნობილია და დაახლოებით გამოძიებასაც ვუთხარი, მაგრამ საჯაროდ ვერ ვიტყვი, – აღნიშნა ბესელიამ.

ბესელიას გენერალურ პროკურატურაში დაბარება იმ განცხადების საფუძველზე მოხდა, რომელიც მან რამდენიმე დღის წინ გააკეთა. კერძოდ, დეპუტატმა განაცხადა, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერებით ადამიანების შანტაჟი დღემდე მიმდინარეობს და ამის დამადასტურებელი კონკრეტული ფაქტები გააჩნია.

დეპუტატი, კონკრეტულ პირთა თანხმობის შემთხვევაში, მზადაა, საგამოძიებო ორგანოს დეტალური ინფორმაცია მიაწოდოს.

– ყველა დეტალზე ვერ ვისაუბრებ. პროკურატურაში კიდევ ერთხელ გავიმეორე და დავადასტურე, რომ ნამდვილად ვფლობ ასეთ ინფორმაციას გარკვეულ პირებთან დაკავშირებით. ეს პირები არიან პარლამენტშიც, აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც.

არსებობენ ადამიანები, ჩემთვის არის ცნობილი, როგორც პარლამენტის წევრისთვის, რომელთა მიმართაც გამოყენებულია მეთოდი უკანონო ჩანაწერის მოპოვების და შემდეგ, ბუნებრივია, ამ ადამიანებს გარკვეული ადამიანური პრობლემა ალბათ ექმნებათ. თუმცა არც ერთი მათგანი არ არის ისეთი, რომელსაც საკუთარი უფლების დაცვა არ შეეძლოს.

სისხლის სამართლის კანონმდებლობით ვალდებულება არ მაკისრია, რომ ეს ინფორმაცია გადავცე. იმ ადამიანების თანხმობის გარეშე, ამას მე ვერ ვაკეთებ და არ ვიქნები არანაირად სწორი, არც სამართლებრივად და არც მორალურად, მაგრამ დავადასტურე დღესაც, თუ რომელიმე მათგანი გააკეთებს ამ განცხადებას, მე მზად ვარ, თუ ეს ინფორმაცია დაემთხვევა, დავადასტურო და რაც მაქვს, ის ინფორმაცია დეტალურადაც მივაწოდო. იმიტომ, რომ ეს ეხება მათ პირად სივრცეს, – აღნიშნა ეკა ბესელიამ.

# „შვილების სკოლაში გაშვების გვეშინია“

## რუსთავის მე-5 სკოლაში მშობლებმა მე-6 კლასელი გოგონას სკოლიდან გაშვება მოითხოვეს

გუშინ, 30 სექტემბერს, რუსთავის მე-5 საჯარო სკოლაში დიდი ხმაური იყო.

მოსწავლეების ნაწილმა, პროტესტის ნიშნად, გაკვეთილებზე შესვლაზე უარი განაცხადა. მე-5 სკოლის მოსწავლეების მშობლები იმ მე-6 კლასელის დედას დაუპირისპირდნენ, რომელსაც მუსიკის მასწავლებელი ნანა წიქარიშვილი ფიზიკურ შეურაცხყოფასა და ბულინგში ადანაშაულებს.



მშობლები ამბობდნენ, რომ შვილების სკოლაში გაშვების ეშინიათ და ისინი საფრთხის ქვეშ იმყოფებიან. მშობლები აღნიშნული მოსწავლის სხვა სკოლაში გადაყვანას მოითხოვდნენ.

ბრალდებები უარყო მე-6 კლასელის დედამ, რომელიც აცხადებს, რომ ის შვილის სხვა სკოლაში გადაყვანას არ აპირებს.

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა, ადგილზე იმყოფებოდა რუსთავის მერიც.

მოგვიანებით სკოლა დატოვეს მეექვსეკლასელმა გოგონამ და მისმა მშობელმა. სკოლიდან ის რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა თამარ ხეჩიკაშვილმა გაიყვანა. თამარ ხეჩიკაშვილმა გოგონა საკუთარ მანქანაში ჩასვა და სკოლის ტერიტორიიდან გაიყვანა.

ხეჩიკაშვილი მედიასთან მცირე კომენტარით შემოიფარგლა და აღნიშნა, რომ რესურსცენტრი კანონით შესაბამის ზომებს მიიღებს.

მე-6 კლასის მოსწავლის დედა აცხადებს, რომ მასწავლებელი, რომელიც მის შვილს კიბიდან დაგორებაში სდებს ბრალს, ცრუობს.

მისი თქმით, არსენ დემეტრაშვილი და მშობელი მის შვილს ცილს სწამებენ. საუბარია განცხადებაზე, რომელშიც სკოლის ყოფილი დირექტორი მოსწავლის უკონტროლო ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე საუბრობს, ასევე მშობლის ბრალდებაზე, გოგონას მხრიდან მოსწავლეებისთვის ფულის გამოძალვასთან დაკავშირებით.

ნანა წიქარიშვილის ბრალდებებს ნაწილობრივ აღიარებს თავად მე-6 კლასის მოსწავლე. გოგონა ადასტურებს, რომ პედაგოგს ნამდვილად უთვალთვალებდა, თუმცა მასწავლებელზე ფიზიკური ძალადობის ფაქტს უარყოფს.

# „მთავარის“ ჟურნალისტი ემა გოგოხია ივანიშვილის დაცვამ „პარაგრაფიდან“ ხელში აყვანილი გაიყვანა



ბიძინა ივანიშვილის დაცვამ „მთავარის“ ჟურნალისტს, ემა გოგოხიას იმ შეხვედრის გადაღების საშუალება არ მისცა, რომელსაც „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელისუფლებო აქტივთან მართავდა.

„მთავარი არხის“ მიერ გავრცელებულ კადრებში ჩანს, როგორ აფარებს დაცვის წევრი კამერის ობიექტივს მობილურ ტელეფონს. ამ მობილურის მთავარ ეკრანზე ბიძინა ივანიშვილის პირად მცველს სწორედ მილიარდერის ფოტო აქვს დაყენებული.

კადრებში კარგად ჩანს, დაცვას ჟურნალისტი გოგოხია ხელში ატაცებული როგორ გაჰყავს „პარაგრაფის“ ტერიტორიიდან.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე **დირექტორი** – ზურაბ ბერიძე
**სარეკლამო სამსახური** – 294-02-55 **გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიორგი ვაშაძე: „თუ შეძლებენ, ყველას ჩასვამენ ციხეში“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს **გიორგი ვაშაძე** პასუხობს.

***– ბატონო გიორგი, „ქართულ ოცნებას“ ფაქტიურად წინასაარჩევნო კამპანია დაწყებული აქვს. როგორც მთავრობის სხდომაზე გახდა ცნობილი, იმატებს პენსიები და ხელფასები. ეს ყველაფერი წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია?***

– საბიუჯეტო სახსრების ხარჯვაში ნამდვილად მაგრები არიან, მაგრამ რამდენ ხანს გასტანს ეს ყველაფერი ქვეყანაში, ეს მეორე საკითხია.

***– მაშინ როდესაც „ოცნება“ ამომრჩევლის გულის მოგებას ცდილობს, ოპოზიცია ერთმანეთთან დაპირისპირებითაა გართული, ეს არ აზარალებს ოპოზიციის ინტერესებს?***

– ოპოზიციაში მე ვერ ვხედავ ასეთ რადიკალურ დაპირისპირებას.

***– კონკრეტულად ნაცმოძრაობას და „ევროპულ საქართველოს“ ვგულისხმობდი.***

– გაერთიანებულ ოპოზიციაში შემოდის ნაციონალური მოძრაობაც და ჩვენ ერთიანობას ვინარჩუნებთ. რაც შეეხება „ევროპულ საქართველოს“, არჩევნების შემდეგ ისიც კოალიციური მთავრობისთვის ემზადება და ემზადება გაერთიანებულ ოპოზიციასთან, სადაც შედის მათ შორის ნაციონალური მოძრაობა.

მე მგონი, ასეა და ცალკეულ განცხადებებს, მე ვფიქრობ, უფრო დიდ ყურადღებას ვაქცევთ, ვიდრე მისაქცევია. საზოგადოებას უყვარს, როცა ინტრიგაა.



***– ეს განცხადებები „ოცნების“ წისქვილზე რომ ასხამს წყალს? ეს არ აზიანებს ოპოზიციას?***

– რა თქმა უნდა, ასხამს და ნამდვილად აზიანებს ჩვენს ინტერესებს, მაგრამ სამწუხაროდ, ამ რეალობაში ვართ და ოპოზიციის ყველა წარმომადგენელს მართებს, რომ უფრო თავშეკავებული იყოს თავის განცხადებებსა და თავის მოქმედებებში.

არ შეიძლება, რომ სხვადასხვა პირებმა ერთმანეთთან ურთიერთობის ხიდი ჩაჭრან. თუ ჩაჭრიან ხიდს, მერე ველარც კოალიციაზე ვისაუბრებთ და ველარც ვერაფერზე.

***– ხელისუფლების ამოცანაა, დარჩეს მესამე ვადით. რამდენად ელოდებით, რომ მისი მხრიდან გაგრძელდეს შანტაჟი, დაშინება და დაჭერები, რასაც ჰქონდა და აქვს ადგილი?***

– ცხადია, ყველა მექანიზმს გამოიყენებს „ქართული ოცნება“ იმისთვის, რომ შეინარჩუნოს ხელისუფლება. ეს იქნება დაშინება, შანტაჟი, ადმინისტრაციული რესურსი, ფული, მოსყიდვა, აბსოლუტურად ყველაფერი.

სწორედ ეს არის გახარიას დანიშვნის მთავარი მიზანიც. გახარია რა არის? გახარია არის სიმბოლო ამ მექანიზმების კომპლექსურად გამოყენებისა. ჩემი თვალსაზრისით, ეს მოხდა საპრეზიდენტო არჩევნებზე და ეს მოხდა საპარლამენტო არჩევნებზე. ასე რომ, ყველაფერს გააკეთებს ხელისუფლება, ხელების გადაგრეხვით გავიდეს ფონს.

***– ანუ გახარიას დანიშვნით ძალის დემონსტრირება მოახდინა „ოცნებამ“?***

– ძალის არა, ამ კომპლექსური მიდგომებისა. რაღა ძალის დემონსტრირება უნდა გააკეთოს „ქართულმა ოცნებამ,“ ამით მწვანე აუნთო ამ კომპლექსურ მიდგომებს. ხოლო კომპლექსურ მიდგომებში ვგულისხმობ დაშინება-მოსყიდვებს, რაც დაიტესტა საპრეზიდენტო არჩევნებზე და შემდეგ ზუგდიდის არჩევნებზე მათი მხრიდან.

თუმცა მე არ მგონია, რომ ეს სვლა მათ რაიმე შესაძლებლობას აძლევდეს. იმიტომ, რომ ქვეყანაში არის უმძიმესი სოციალურ – ეკონომიკური ფონი. ბოლო ხუთი წლის მანძილზე, მოსახლეობის 40% ამბობს, რომ მისი მდგომარეობა გაუარესდა. ეს ყველაფერი საზოგადოების განწყობასა და დამოკიდებულებაზე ახდენს ძალიან დიდ ზეგავლენას და ფაქტობრივად შეუძლებელი მგონია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში დარჩენა.

***– ანუ ძალადობა და შანტაჟი ველარ იმუშავებს?***

– ვერ იმუშავებს ვერც ერთ შემთხვევაში.

***– ოპოზიციურ ფლანგზე რამდენიმე ახალი ლიდერიც გამოჩნდა, „ოცნებამ“ მათი დისკრედიტაცია მოახდინა, ზოგი დაიჭირა, ზოგსაც პროკურატურასთან აქვს საქმე. ელოდებით ამ პროცესის გაგრძელებას?***

– სამწუხაროდ, ეს ჩვეულებრივ რეალობად ჩამოყალიბდა საქართველოში. თუ რაიმე შესაძლებლობა მიეცემათ, ყველას ჩასვამენ ციხეში. სულ მცირე მოდავების შანსიც რომ ჰქონდეთ, თუნდაც ისეთი აბსურდის, როგორიც ირაკლი ოქრუაშვილის შემთხვევაშია, რომ არანაირი მტკიცებულება არ არსებობს.

ასე რომ, სულ მცირე მიზეზიც რომ იყოს, ჩასვამენ ციხეში, რა თქმა უნდა.

***– რას აპირებს ოპოზიცია, რით უპირისპირდება ხელისუფლებას?***

– ჩვენ ტყუილად არ ვსხედვართ, ძალიან სერიოზულად ვემზადებით და ძალიან სერიოზულ პროცესებს ვაპირებთ. ძალიან სერიოზულად ვაპირებთ ხალხთან ურთიერთობას.

ჩვენ ხალხთან ვიმუშავებთ გაცილებით მეტს, ვიდრე ვმუშაობდით აქამდე. საზოგადოებაში ძალიან დიდი პროტესტია დაგროვებული. ჩვენ გვაქვს ძალიან სერიოზული და განსხვავებული სტრატეგია და ამას ჩვენი საზოგადოება მალე გაიგებს.

„ოცნება“ თავისას ველარ გაიტანს.

# „ვაცადოთ „ოცნებას“, რაიმე სისულელეს აუცილებლად ჩაიდენს“

## თორნიკე შარაშენიძე: „ნაციონალები და „ევროპული საქართველო“ ერთი ოჯახია, რომელიც დღეს განქორწინებულია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში **თორნიკე შარაშენიძე** პასუხობს

***– ბატონო თორნიკე, ნაციონალურ მოძრაობასა და „ევროპულ საქართველოს“ შორის დაპირისპირება ღრმავდება. ასეთი შეფასებაც მოვისმინე, ივანიშვილი კარგად ახერხებს მათი დაპირისპირების გაღრმავებასო.***

– მე არა მგონია, ამაში ივანიშვილის ხელი ერიოს. მეორეც, რეალურად მათთვის უკეთესია თუ გაიყოფიან. პროპორციული არჩევნებია, ნულოვანი ბარიერია. რაც უფრო მეტი გაიყოფა, ეს უკეთესია იდეაში. ცალ-ცალკე მეტ ხმებს აიღებენ, ერთი აღებს თავის სეგმენტში, მეორე – თავისაში. თანაც დაპირისპირება ისეთ დონეზე მივიდა, რომ გაერთიანებამ შეიძლება უფრო აწყინოს სააკაშვილს და ბოკერიას.

***– ღიად დაარტყა სააკაშვილმა ბოკერიას. რატომ გადავიდნენ ასე ღია დაპირისპირებაზე?***

– ველარ მალავენ ეგენი ერთმანეთის მიმართ გრძნობებს. ეგ არის და ეგ. მათი ერთად ყოფნა ამ ეტაპზე ალბათ არ გამოვა. ფაქტია, რომ ერთმანეთი არ უყვართ.

***– ადრეც არ ეხატებოდათ ერთმანეთი გულზე და ამის შენიღბვას ახერხებდნენ?***

– ასე იყო. როცა სააკაშვილი პრეზიდენტი იყო, მარტო ბოკერია კი არა, ყველა მალავდა მის მიმართ რეალურ გრძნობებს. ახლა უკვე აღარ მალავენ ვიღაც-ვიღაცები.

***– ნაციონალურმა მოძრაობამ განაცხადა, რომ ყველა ბიძინას წინააღმდეგ, თუმცა „ევროპულმა საქართველომ“ არ გაიზიარა ეს მოწოდება. ორივე ძალას ლიდერობა უნდა?***

– ნაციონალურ მოძრაობაზე მეტს ვერ აიღებს ვერც ერთი სხვა ოპოზიციური ტიპის პარტია. აქედან გამომდინარე, „ევროპული საქართველოს“ განცხადება, რომ ჩვენ მეტს ავიღებთ, ზღაპარს ჰგავს. თუმცა რა არის იმაში ცუდი, თუ გავლენ ცალკე და მერე გაერთიანდებიან პარლამენტში?!

***– ამის შანსს ხედავთ? მაინც საერთო წარსული და მსგავსი ღირებულებები აქვთ.***

– ეს ერთი ოჯახია, უბრალოდ, დღეს განქორწინებაში არიან.

***– დიდი შანსია, თუ დასჭირდებათ, შერიგდებიან?***

– შვილის გამო შერიგდებიან, მოდით, ასე ვთქვათ და ეს შვილი არის ხელისუფლება, ძალაუფლება.



***– სააკაშვილი აცხადებს, რომ ის ძალიან მალე დაბრუნდება საქართველოში. მსგავს განცხადებებს ის ყოველი არჩევნების წინ აკეთებს. ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ ამით აზიანებს ნაცმოძრაობას, რადგან ყოველ ჯერზე „ოცნება“ ახალ ბუას ქმნის სააკაშვილის სახით. ასეა?***

– მისი დაბრუნების არავის სჯერა, არც მის მომხრეებს და არც მოწინააღმდეგეებს. რამდენჯერ უნდა თქვას, ვბრუნდებიო, დავიღალეთ უკვე. თუ ჰგონია, რომ არ ჩასვამენ, ძალიან ცდება.

***– სწორედ ამიტომ საუბრობენ, რომ ივანიშვილის წისქვილზე ასხამს წყალს მისი განცხადებები და ეჭვებიც ამიტომ ჩნდება.***

– რაც არ უნდა თქვას მან, თავი რომ სულ ქრისტედ გამოაცხადოს, მისი მომხრეები ხმას მაინც მისცემენ. ეს სულ ერთია მისი მხარდამჭერებისთვის.

***– ყველაზე დიდ ქრისტიანად მოგვევლინა უკვე.***

– ამიტომაც გითხარით, თავი რომ ქრისტედ გამოაცხადოს, მომხრეებს არ დაკარგავს. ამიტომ არც ეს განცხადებები აზარალებს.

***– მაინც რას ემსახურება მისი განცხადებები, საკუთარ მომხრეებს ახსენებს თავს?***

– შესაძლოა, ამით „ოცნების“ გაგიჟება და მისი პროვოკაციაზე წამოგება უნდა. მთავარი პრობლემა კი ის არის, რომ ძალიან დიდი ხანია, აქ არ ყოფილა და აქ რა ხდება, ისე კარგად ვერ გრძნობს. აშკარად მოწყვეტილია აქაურობას და ცოტა არაადეკვატურიც იყო მისი განცხადებები.

***– რას ელოდებით დანარჩენი ოპოზიციისგან?***

– მართალი გითხრათ, დანარჩენი ოპოზიციისგან ჯერჯერობით ვერაფერს სერიოზულს ვერ ვხედავ. ვერ განვიხილავ სერიოზულად მაინცდამაინც ვერავის.

***– ხაზარაძეს?***

– ხაზარაძეს ცნობადობა ძალიან დაბალი აქვს, პოპულარობა არც ისე მაღალი, რადგან აქ ბანკირები არ უყვართ და მე ეჭვი მაქვს, რომ როგორც კი მოინდომებს ფულის დახარჯვას, მაშინვე პროკურატურაში დაუძახებენ.

***– კვირიკაშვილიც გამოჩნდა ბოლო დღეებია, ეკა ბესელიასაც შეხვდა.***

– კვირიკაშვილის გააქტიურებას ვერ ვუყურებ სერიოზულად. ვთქვათ, შემობრუნდა პოლიტიკაში, ვისთან ერთად უნდა იყაროს კენჭი?!

***– თუნდაც ხაზარაძესთან.***

– ვთქვათ, მივიდეს ხაზარაძესთან და რა მერე? რა იქნება მათი მესიჯი, რომ ბიძინას ვემსახურებოდი და ვცდებოდი?! რა უნდა თქვას, რით უნდა იმართლოს თავი, საინტერესოა ძალიან. ჯერჯერობით საინტერესო არაფერი ხდება ოპოზიციურ ფლანგზე. თუმცა დრო ჯერ კიდევ აქვთ.

***– რა გამოდის, „ოცნების“ ხელშია ისევ ბურთი და მოედანი?***

– მოედანი ნამდვილად არის და ბურთი არ ვიცი. ვაცადოთ „ოცნებას“, რაიმე სისულელეს აუცილებლად ჩაიდენს. არჩევნებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო აქვს ახალი სისულელისთვის. ამ ეტაპზე ვერც ოპოზიცია ყოჩაღობს.

***– რა აკლია დღეს ოპოზიციას, რომ ნდობა და მხარდაჭერა მოიპოვოს?***

– ფული პირველ რიგში და სერიოზული მენეჯერები აკლია.

***– გრიგოლ ვაშაძე ვერ შველის ნაციონალურ მოძრაობას?***

– ვაშაძე მენეჯერი არ არის, ეს ერთი და მეორეც, მე რასაც ვუყურებ, ის ამ ყველაფრით დაიღალა. შევხედოთ აბა, ახლა რას იზამს, თუ გაეხსნება მეორე სუნთქვა.

# ხათუნა ლაგაზიძე: „კვირიკაშვილმა გაცილებით მეტი იცის, ვიდრე ლაპარაკობს“

## „მასაც უჭირავს ჯოკერი და მხოლოდ „ოცნებას“ არ შეუძლია მის კარში პენალტის დარტყმა“

იაგო ნაცვლიშვილი



რატომ გამოჩნდა ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი? ცეცხლს ხომ არ ეთამაშება ამ გადაწყვეტილებით? ვისი ინიციატივით შედგა საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის შეხვედრა რეალურად? რას ემსახურებოდა ეს შეხვედრა? და რატომ მაინცდამაინც ახლა? – ამ და სხვა პოლიტიკური მოვლენების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **ხათუნა ლაგაზიძე** საუბრობს.

***– ექსპრემიერი გიორგი კვირიკაშვილი გამოჩნდა, რომელმაც გააკრიტიკა „ქართული ოცნება“. კი თქვა, რომ არ აპირებს აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნებას, თუმცა გვითხრა, რომ მას ექნება პოზიციები სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებზე. რით ხსნით მის გამოჩენას?***

– მე ვერ მივიღე პასუხი კითხვაზე, რატომ დუმდა ერთი წელი და რატომ ალაპარაკდა დღეს. რატომ დააფიქსირა პოზიცია მაინცდამაინც დღეს, თუმცა არ მივეკუთვნები იმ ადამიანთა რიცხვს, ვინც ფიქრობს, მას პირში წყალი უნდა ჩაეგუბებინა და საერთოდ არაფერი უნდა ეთქვა. ის ამბობს, რომ ექნება მოქალაქეობრივი პოზიცია და როგორც მოქალაქეს და როგორც ყოფილ პრემიერს ექნება პოზიციები იმ მანკიერებებზე, რასაც ის ხედავს. თუკი მას პასუხისმგებლობა ალაპარაკებს, როგორც მოქალაქეს და ექსპრემიერს, ეს კარგია.

რაც შეეხება იმას, რაც მან ილაპარაკა, გვითხრა, რომ პოლიტიკაში არ მოვდივარო, მაგრამ როცა აფიქსირებს პოზიციას და ამბობს, რომ მომავალშიც დააფიქსირებს მას, ეს თავისთავად ნიშნავს, რომ ის პოლიტიკაშია. როგორც ჩანს, ის გულისხმობს იმას, რომ ის არ იქნება რომელიმე პარტიის წევრი და არ იბრძოლებს თანამდებობისთვის. თუმცა, პოლიტიკაში ყოფნა მარტო ეს არ არის. ერთგვარად პოლიტიკაა მისი მხრიდან საზოგადოებრივი განწყობების ჩამოყალიბებაც.

ის, რომ თითქოს ხაზარაძე და ის შეთქმულები იყვნენ და ივანიშვილს რაღაცას უწყობდნენ, ამაზე თქვა, რომ ამას არანაირი საფუძველი არ აქვსო და მე ვფიქრობ, რომ ის ამაში მართალია.

***– თუმცა, მან ისაუბრა ანაკლიის თემაზე და თქვა, რომ ხელისუფლება არასწორად იქცევა ანაკლიის თემისა და ხაზარაძის მიმართ.***

– დიახ, მაგრამ მე ვგულისხმობ იმას, რომ მან თქვა, ხაზარაძესთან ერთად ივანიშვილს ძირს არ ვუთხრიდიო და მგონია, რომ გულწრფელი იყო, რადგან ის არ ტოვებს ისეთი ადამიანის შთაბეჭდილებას, რომელსაც ზურგში ჩარტყმა შეუძლია.

როცა ანაკლიის ბედი წყდებოდა, ის ჯერ ეკონომიკის მინისტრი იყო, ხოლო შემდეგ – პრემიერი და ბევრ ჩვენგანზე მეტად აქვს ინფორმაცია ამის თაობაზე. აქ მინდა მოვიყვანო ამონარიდები ევროპაში ამერიკის ჯარების სარდლის ბენ ჰოჯესის ინტერვიუდან, სადაც ის ღია ტექსტით საუბრობს ბევრ რამეზე და მათ შორის ანაკლიაზეც.

მაგალითად, ის საუბრობს იმაზე, რომ უნდა ნახოს „საქართველოსა და აშშ-ს შორის თანამშრომლობა ხომალდებისა და წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო თავდაცვის ავტომატური სანაოსნო სისტემების კუთხით“, ამბობს იმასაც, რომ „საოცნებო სცენარი იქნება, თუ ჩვენი გემები ანაკლიის პორტში შევლენ, იქნება ეს ტექნიკური თუ აღდგენითი სამუშაოებისთვის“.

დაახლოებით ამავე ფუნქციით იყენებდა ომის დაწყებამდე რუსეთი ხმელთაშუა ზღვაში, სირიაში თავის ბოლო საზღვაო ბაზას. ჰოჯესი ახმოვანებს ამერიკის პოლიტიკური ელიტის ნაწილის პოზიციას, რომ ანაკლიის პორტი საქართველოს საშუალებას მისცემს, ერთი მხრივ, გახდეს შავი ზღვის უსაფრთხოების ერთიანი სივრცის ნაწილი, „რომლის ფარგლებში მოხდება თანამშრომლობა ისეთი მიმართულებებით, როგორიც არის სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლა, წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ ბრძოლის უნარების დახვეწა, წვრთნები, ტექნიკური და ინფრასტრუქტურული საკითხები და ნაოსნობის თავისუფლების რეალიზება, ხოლო მეორე მხრივ, ანაკლიის პორტი 3 ზღვის (ბალტიის, ადრიატიკისა და შავი ზღვის) სურათს შეცვლის და ამ ზღვებს ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს. ამიტომაცაა, რომ რუსეთს არ სურს ამ პროექტის განხორციელება“-ო.

ამაზე ნათლად როგორ უნდა აგვიხსნან ანაკლიის პორტის მნიშვნელობა საქართველოსთვის და რეგიონისთვის?! საუბარია საუკუნის პროექტზე! ჰოჯესი იმასაც კი ამბობს, რომ მიმდინარეობდა დისკუსიები საერთო ავიაბაზის შესახებ, თუმცა ეს ანაკლიაზე მიბმული არ ყოფილა. ანუ, ძალიან აქტიურ ფაზაში ყოფილა ამერიკა-საქართველოს და ნატო-საქართველოს ურთიერთობები, რასაც ჩვენი ამერიკელი პარტნიორების მხრიდან ვიგებთ და, როგორც ჩანს, ახლა ეს ყველაფერი დაეკიდა.

***– ანუ შემთხვევითი არ ყოფილ ის, რომ ანაკლიის პროექტის თაობაზე ჩანაწერი გაჩნდა კონსტიტუციაში?***

– რა თქმა უნდა. ამიტომ, კვირიკაშვილის გულისტკივილიც გასაგებია. ის ერთ-ერთი მთავარი პირი იყო, ვინც ამ მოლაპარაკებებში მონაწილეობდა. კარგია, რომ მან დააფიქსირა ამ თემაზე თავისი პოზიცია და გვერდზე მდგომი მაყურებლის როლში არ დარჩა.

დასავლელ დიპლომატებს დღემდე აქვთ ნოსტალგია კვირიკაშვილის მიმართ. თუმცა იმაზე, რომ ვინმე მისგან ახალ პოლიტიკურ ლიდერს

გაგრძელება მე-4 გვერდზე


**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

# დავით დარჩიაშვილი: „სააკაშვილის განცხადებები ოპოზიციას აზიანებს“

ნათია ხურცილავა



„ევროპული საქართველოს“ წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი **დავით დარჩიაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო დავით, როგორ შეაფასებთ მიხეილ სააკაშვილის ინტერვიუს, რომელსაც პოლიტიკურ სპექტრში არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა?***

– სამწუხაროდ, ის, რაც სააკაშვილმა ილაპარაკა, ხელს ვერ შეუწყობს ხელისუფლებასთან საარჩევნო დაპირისპირებაში ოპოზიციური ძალების კოორდინირებას, იმას, რომ ოპოზიციაში ურთიერთობის ფორმები დაიხვეწოს.

***– უფრო კონკრეტულად რას გამოყოფდით?***

– უცნაური ბრალდება იყო გიგა ბოკერიას მიმართ. ეს ნამდვილად არ არის ხელშემწყობი. შეიძლება რაღაცა მოგწონდეს ბოკერიასი, რაღაც არ მოგწონდეს, ისევე, როგორც სააკაშვილის, მაგრამ ამ რეგისტრში ლაპარაკი ხელს არ უწყობს პარტიებს შორის ურთიერთობას.

***– საქართველოს პოლიტიკაში ეკლესიით, ჯვრით მანიპულირება ახალი არ არის, მაგრამ ამ კონტექსტში ელოდით სააკაშვილისგან ამას?***

– სამწუხაროდ, ქართველ პოლიტიკოსებს ეს ახასიათებთ. ხედავენ, რომ ეკლესიის გავლენა ძალიან დიდია. ასევე, ძალიან დიდია მრევლის (მრევლობას რომ იბრალებს) რაოდენობა. ამიტომ, პოლიტიკოსები ცდილობენ, რომ ეს გამოიყენონ. ისინი თვლიან, რომ ეს შეიძლება არჩევნებზე მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდეს.

არადა, ეს ძალიან მოკლევადიანი უპირატესობის მოპოვებაა, თუკი საერთოდ არის. აქ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი არის ის, რომ მთლიანობაში ეს გარემოება ხელს არ უწყობს ქვეყანაში ჯანსაღი, პრინციპული პოლიტიკური ლანდშაფტის ფორმირებას.

***– მიხეილ სააკაშვილმა კვლავ გააკეთა განცხადება ჩამოსვლასთან დაკავშირებით. შეიძლება ამჯერად მართლაც დაბრუნდეს?***

– არ ვიცი, თუმცა მე არ გამოვრიცხავ, რომ სააკაშვილმა ეს გადაწყვეტილება მიიღოს და მართლაც ჩამოვიდეს.

***– წინასაარჩევნოდ უკვე მერამდენედ გააკეთა დაბრუნებაზე განცხადება. ხომ არ ფიქრობთ, რომ მორიგი იმედგაცრუება უარყოფით შედეგებს მოუტანს მისსავე ამომრჩეველში?***

– პირველ რიგში, ალბათ ქვეყანაში არსებული გარემოებაა გასათვალისწინებელი. თუმცა, მას რომ დაბრუნების სურვილი აქვს და ამ სურვილში გულწრფელია, ამაში ეჭვი არ მეპარება. თუმცა, სიმართლე გითხრათ, მე უფრო სხვა საკითხები მეჩვენა პრობლემატურად.

***– რას გულისხმობთ?***

– რელიგიური თემების წინ წამოწევას.

***– 2020 წლის არჩევნებზე რას ფიქრობთ, შეიძლება იმავე სცენარით განვითარდეს მოვლენები, როგორც საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურზე?***

– ადრეა ამაზე საუბარი. თუ ახალი კატაკლიზმები არ მოხდა და არჩევნების თარიღმა არ გადმოიწია ან სხვა უმართავი პროცესები არ დაიწყო, მაშინ ხელისუფლება ბევრად უფრო დასუსტებულია ახლა, ვიდრე იყო თუნდაც საპრეზიდენტო არჩევნებზე და მას ბევრად უფრო გაუჭირდება.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ბევრად უფრო მნიშვნელოვანი არჩევნებია, ვიდრე 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები იყო პრეზიდენტის ძალიან შეკვეცილი ფუნქციებიდან გამომდინარე. ამიტომ, წინ თვისობრივად განსხვავებული არჩევნები გველოდება.

***– თქვენ აღნიშნეთ, რომ ხელისუფლება დასუსტებულია, ამის მიუხედავად გამორიცხავთ, რომ ივანიშვილი არჩევნების მოგებას ეცდება?***

– რა თქმა უნდა, ეცდება და ამაში ეჭვი აბსოლუტურად არ მეპარება. ბიძინა ივანიშვილი ეცდება, უკანონო მეთოდებსაც მიმართოს არჩევნების მოსაგებად, მაგრამ დასუსტებულს ამის ბევრად უფრო ნაკლები შესაძლებლობა ექნება. თანაც, საერთაშორისო თანამეგობრობაც ბევრად უფრო ყურადღებით იქნება 2020 წლის არჩევნებზე, რადგან ეს არჩევნები გაცილებით სხვა მნიშვნელობის არის, ვიდრე საპრეზიდენტო არჩევნები იყო.

***– ვადამდელ არჩევნებს უშვებთ?***

– არა, არა, მაგრამ ამ ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების გრძელვადიანი პროგნოზირება ძალიან რთულია, სწორედ ამას ვგულისხმობდი, როდესაც არჩევნების თარიღის გადმოწევაზე ვსაუბრობდი. როდის რა მოხდება და რა ემოცია იფეთქებს, ამის წინასწარ განჭვრეტა ძალიან რთულია.

***– არჩევნებამდე ოპოზიციურ ფლანგს შეიძლება კიდევ შეუერთდნენ ახალი ძალები? ყოფილი პრემიერი კვირიკაშვილი გამოჩნდა, რომელიც ახალგაზრდებზე აკეთებს აქცენტს. თუმცა, საზოგადოებრივ აქტიურობას არ გამორიცხავს.***

– არ გამოვრიცხავ. თუმცა, ახალი ფიგურების გამოჩენა მაინცდამაინც პოლიტიკურ სურათს არ შეცვლის. ისინი შეიძლება გამოჩნდნენ, მაგრამ პოლიტიკური სპექტრი, ასე თუ ისე, ფორმირებულია. კონკურენცია მაინც არსებულ, ნაცნობ პოლიტიკურ სპექტრს შორის გაიმართება.

***– 2012 წელსაც არავინ ელოდა ივანიშვილს, მაგრამ გამოჩნდა და სურათი შეცვალა.***

– მართალია, ივანიშვილი გამოჩნდა, მაგრამ გამოჩნდა 7 მილიარდით. მე ვფიქრობ, რომ საზოგადოება ბევრად უფრო გაიზარდა, რომ მილიარდერების დაპირებების არ დაიჯეროს. მეორეც – ამ ქვეყანაში ბევრი მილიარდერი არ მეგულება.

# დავით ბერძენიშვილი: „სააკაშვილი დასუსტებულ ივანიშვილთანაც დამარცხდება“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ბიძინა ივანიშვილის მოგვწონს ახლა. ერთპარტიულობა და ერთმმართველობა არ არის ლიბერალური დემოკრატიის ამოცანა.

მეორე, მე ბევრჯერ მითქვამს, რომ სააკაშვილის მხარდაჭერის გარეშე ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების დამარცხება პრაქტიკულად შეუძლებელია, ასე ჩანს შედეგებით, რომ ეს არ ხერხდება და მეორე მხრივ, მარტო სააკაშვილი მისი პარტიით და მისი პარტნიორებით ვერ ამარცხებს ბიძინა ივანიშვილს. ერთი ერთში ეს არ ხერხდება და ერთი ერთში სააკაშვილი ივანიშვილთან დამარცხდა ყოველთვის და დამარცხდება კიდევ დიდ ხანს. ეს არ არის ქართველი ხალხის ამოცანა.

იმის მიუხედავად, რა კონფიგურაციაში აღმოჩნდება რესპუბლიკური პარტია, მით უმეტეს, ბუნებრივი ბარიერის პირობებში, ეს არ არის არსებითი. არსებითი მნიშვნელოვანი ჩემთვის არის ის, რომ ჩვენ არ გავიმეოროთ მარცხის ფორმულა. სააკაშვილი ივანიშვილთან ერთი ერთში დარჩენილი აგებს. აგებს დასუსტებულ ივანიშვილთანაც კი, ამიტომ ყველაფერი ან არაფერი მოგვცემს არაფერს.

ამოცანა არის კოალიციური, მრავალპარტიული, პროდასავლური, ერთმანეთზე გაბრაზებული პარტიების შესაძლებლობა და აუცილებლობა. სხვანაირად, ვერც ერთი ადამიანი, ვერც ერთი პარტია, ვერც ერთი დაჯგუფება ვერ შეძლებს არჩევნებში გამარჯვებას.

***– ის რიტორიკა რას ნიშნავს, როცა ამბობს, რომ „ევროპულ საქართველოსთან“ თანამშრომლობისთვის მზად არის, მაგრამ ბოკერია ანგრევს ტრადიციებს, რელიგიას და ა.შ.?***

– „ევროპული საქართველოს“ სახელით დღეს ისაუბრა ბაქრაძემაც და უგულავამაც. რისი იმედი აქვს სააკაშვილს? სხვის პარტიაში ცხვირის ჩაყოფა არც სწორია და არც კორექტული. ეს პრაქტიკულად პრაგმატულადაც მარცხისთვის არის განწირული. ბუნებრივია, ამ თვალსაზრისით ძალიან სუსტი გამოსვლა იყო და მას ძალიან კვალიფიციური პასუხი გასცა „ევროპულმა საქართველომ“.

მან მოახერხა ის, რომ ჯიპები დაერიგებინა ეპისკოპოსებისთვის. როგორც უგულავამ გვითხრა, მაგაში კი ვეწინააღმდეგებოდით, მაგრამ თავისი გაიტანაო. ეს ფსევდორელიგიური რიტორიკა ლიბერალურ დემოკრატიასთან და სეკულარიზმთან თავსებადი არ არის. საერთოდ მინდა გითხრათ, რომ ფსევდოტრადიციონალიზმი და ფსევდოინოვაციები ეს არ არის სერიოზული სიმბიოზი, რაც ბოლო ხანებში ახასიათებს სააკაშვილს ვარშავის გეგმით თუ პირველად ევროპაში ერთი გადასახადით და ა.შ. ჩვენ პირველად ევროპაში კი არ გვინდა, ჩვენ გვინდა ის, რაც ევროპაშია აპრობირებული. ევროპამ რაც იცის, ის უნდა დავნერგოთ კარგად.

ამის მიუხედავად, მე არ ვიტყოდი, რომ წყალი გადაწურულია და შეუძლებელია სხვადასხვა პარტიას შორის თანამშრომლობა. რესპუბლიკელების, „ევროპული საქართველოს“, ნაციონალური მოძრაობის და სხვა პარტიების ურთიერთობა კვლავ შესაძლებელია თუ ტორპედირება შეგნებულად არ იქნება უზრუნველყოფილი და ტორპედირება აწყობს მარტო ივანიშვილს.

***– ანუ ფიქრობთ, რომ ნაციონალური მოძრაობისა და „ევროპული საქართველოს“ თანამშრომლობის რესურსი ამ განცხადებების მიუხედავად არ არის ამოწურული?***

– მე არ ვფიქრობ, რომ ამოწურულია, თუმცა სერიოზულად გართულებულია.

***– მიხეილ სააკაშვილის განცხადებებში პოპულიზმიც ხომ არ იყო?***

– რა თქმა უნდა, იყო. ამიტომ დავარქვი ამას ფსევდოტრადიციონალიზმი და ფსევდოინოვაციები. არც ის გვინდა, რომ საქართველო კავკასიის ლიდერი ქვეყანა იყოს. საქართველო არის აღმოსავლეთ ევროპა და არა ჩრდილო კავკასიის ან თუნდაც სამხრეთ კავკასიის და მეზობლების ლიდერი ქვეყანა. ჩვენ ვართ ერთადერთი ქვეყანა ამ გეოგრაფიულ რეგიონში. ხაზს ვუსვამ, კავკასია გეოგრაფიაა, კავკასია გეოპოლიტიკა არ არის. კავკასიის ყველა მხარეს სხვადასხვა გეოპოლიტიკური ვექტორი აქვს. ჩრდილო კავკასია მთლად რუსეთშია. აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოსაც სხვადასხვა გეოპოლიტიკური ვექტორი აქვს და არა მხოლოდ გეოპოლიტიკური.

საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა ამ გეოპოლიტიკურ სივრცეში, რომელიც არის ევროპასთან ვიზალიბერალიზებული. ამიტომ, ჩვენი ამოცანა ევროკავშირსა და ნატოში შევლაა. ეს არის ამოცანა.

სააკაშვილს დავით აღმაშენებელზე ძალიან ფრაგმენტული წარმოდგენები რომ აქვს, კავკასიის ლიდერი იყოო, ამაზე რომ გველაპარაკებიან... დავით აღმაშენებელი პირველ რიგში და უპირველეს ყოვლისა, იყო ჯვაროსნების პოლიტიკური პარტნიორი და სამხედრო პარტნიორი. ასე რომ, იმიტომ თქვა მისმა ისტორიკოსმა აღაშენა გელათი და აქცია ახალ იერუსალიმად. დასავლური ორიენტაციისთვის გაკეთდა ეს, მაგრამ ამას ცოტა მეტი ცოდნა სჭირდება.

# ხათუნა ლაგაზიძე: „კვირიკაშვილმა გაცილებით მეტი იცის, ვიდრე ლაპარაკობს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ქმნიდეს, ინფორმაცია არ მაქვს და ეს მან თავადაც უარყო.

ის, რომ დღეს კვირიკაშვილმა ხმა ამოიღო, არ ნიშნავს, ვინმე მის გაიდეალებას აპირებს. მას შეეძლო გაცილებით მეტის გაკეთება პრემიერობის პერიოდში.

***– ნამდვილად იყო ჩავარდნები მისი პრემიერობის დროსაც. თუნდაც ბათუმის მოვლენები რომ გავიხსენოთ, რამდენი ხანი ვერ ჩავიდნენ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები და ბრიფინგიც კი არ გამართეს. ესეც უნდა ვთქვათ ობიექტურობისთვის.***

– რა თქმა უნდა. მას ჰქონდა რესურსი, რომ ყოფილიყო ხალხის რჩეული პრემიერი და მან ეს რესურსი ვერ გამოიყენა: რა იყო ამის მიზეზი, ვინმე უშლიდა ხელს თუ არა, ეს დღეს უკვე ნაკლებად საინტერესოა.

***– როგორც კი გააქტიურდება ხოლმე, მაშინვე აქტიურდება საქმეები მისი ყოფილი თანაგუნდელების ქუმსიშვილისა და ალავიძის და სხვების წინააღმდეგ, რაც შესაძლოა სწორედ კვირიკაშვილამდე მივიდეს. ცეცხლს ხომ არ ეთამაშება?***

– არ ვიცი, რის დაწყებას აპირებს მის წინააღმდეგ ხელისუფლება, მაგრამ თუ თვლის, რომ მისი მოქალაქეობრივი ვალია, თავისი განცხადებებით რაღაცა ცუდი პროცესების პრევენცია მოახდინოს ქვეყანაში, რატომაც არა. თუნდაც ის რისკავდეს საკუთარ თავისუფლებას ამის ფასად. მთავარია, რას ემსახურება მისი გამოჩენა.

ამბობს, რომ პარტიული საქმიანობა და თანამდებობა მას არ აინტერესებს, მაგრამ მისი გამოჩენა რაღაცას ხომ ემსახურება, რაღაცისთვის ხომ გამოვიდა სააშკარაოზე და სანამ ამ კითხვაზე პასუხს არ მივიღებთ, ვერ გავიგებთ ვერც იმას, ის რეალურად რისთვის არის მზად.

მისი დღემდე გაკეთებული განცხადებები არაფერია იმასთან შედარებით, რა ინფორმაციასაც ის შეიძლება ფლობდეს, როგორც ყოფილი პრემიერი. წესით, მასაც უნდა ჰქონდეს საკმარისი რაოდენობის ჯოკერი ხელში, რაც მას საშუალებას მისცემს, რომ მხოლოდ მის კარში არ დაარტყან პენალტები.

***– ელოდებით ამ ჯოკერის გამოყენებას?***

– არ ვიცი. კიდევ ერთხელ ვამბობ, მთავარი კითხვა, რაზეც პასუხი მჭირდება, არის ის, რატომ გადაწყვიტა მან კვლავ საჯარო სივრცეში შემოსვლა. აუცილებლად წავა მისკენ ძალიან ბევრი დარტყმა. ამისთვის ის მზად უნდა იყოს, ამიტომ ძალიან წონადი უნდა იყოს ის მიზეზი, რატომაც გამოვიდა ის სააშკარაოზე.

***– რუსეთისა და საქართველოს საგარეო მინისტრები შეხვდნენ ერთმანეთს. დიალოგში ცუდი არაფერია, მაგრამ რატომ მაინცდამაინც ახლა, აგვისტოს ომიდან 9 წლის შემდეგ და რატომ გახდა საქილიკო ლავროვის მხრიდან, როცა დაიწყო ზალკალიანმა თავის მართლება, რომ შეხვედრა საქართველოს ინიციატივით არ მომხდარა? სხვა რამეს ამტკიცებს ლავროვი.***

– როდესაც ჩვენს ხელისუფლებას რუსეთი აქილიკებს, მე ყოველთვის ჩემი ხელისუფლების მხარეს ვარ, ვინც არ უნდა იყოს ხელისუფლებაში. გაცილებით უფრო მჯერა ჩემი ხელისუფლების, როცა მეორე მხარეს ლავროვი დგას. ჩემთვის აქ ორი აზრი არსებობს. გამოხვიდე და საკუთარ ხელისუფლებას ურტყა ლავროვის განცხადებაზე: ვის აქვს გარანტია, რომ ლავროვი სიმართლეს ამბობს?! ამიტომ, მე ასე უაპელაციოდ არ მივიღებდი ლავროვის ნათქვამს.

გამოვრიცხავ იმასაც, რომ შეხვედრა შედგა მხოლოდ ბორდერიზაციის საკითხების გამო. თქვენი მთავარი კითხვა იყო, რატომ ახლა და ეს არის მთავარი კითხვა, ისევე, როგორც კვირიკაშვილის შემთხვევაში. თუმცა, აქ უფრო მაქვს პასუხი – აქ ორი მთავარი ფაქტორია: 2020 წლის არჩევნები და ტრამპი, როგორც ასეთი.

ახლახან გამოქვეყნდა ტრამპისა და ზელენსკის საუბრის გაშიფრული ჩანაწერი, სადაც ტრამპი ეუბნება ზელენსკის, რომ უკრაინის თემებზე უნდა იზრუნოს უფრო ევროპამ და ნაკლებად ამერიკამ. ამ საუბრისას რამდენჯერმე მოუწოდა ტრამპმა ზელენსკის, პირდაპირი დიალოგი აწარმოეთ რუსეთთან და ამ გზით გადაწყვიტეთ თქვენი პრობლემებიო. ტრამპის ამერიკა სულ უფრო დისტანცირდება უკრაინის პრობლემისგან და ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ ტრამპმა უკრაინას 250 მილიონიანი დახმარება შეუჩერა თავდაცვის მიმართულებით.

***– იქით მიგყავთ საუბარი, რომ ჩვენთვისაც გზავნილი იყო?***

– ქართული ანდაზისა არ იყოს „მულო შენ გეუბნები, რძალო შენ გაიგონეო“. არანაირი მტკიცებულებები არ გვაქვს, რომ იგივე მესიჯი იყო ჩვენ მიმართაც, მაგრამ როდესაც უკრაინა გაცილებით უფრო აქტიურია საერთაშორისო ასპარეზზე, მგონია, რომ ასეთი განწყობები იქნება საქართველოსთან მიმართებაშიც.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ დასავლელი პარტნიორები მოგვიწოდებენ რუსეთთან პირდაპირი დიალოგისკენ. აქ ჩნდება კითხვა, ხომ არ ხდება დასავლეთის მხრიდან აქცენტის გადატანა საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემებისგან, ანუ დამატებითი თავის ტკივილის არიდების მცდელობა ხომ არ არის დასავლეთის მხრიდან? თუ საქართველოს და უკრაინის რუსეთთან პირისპირ დატოვება იგეგმება, მაშინ ძალიან ცუდად გვქონია ჩვენ საქმე.

***– ცოტა ხნის წინ სულ სხვა გზავნილები გაისმა ნატოში გაწევრიანების მხრივ. მართალია რასმუსენი აღარ არის თანამდებობის მოქმედი პირი, მაგრამ ხომ ვიცით, რომ მას სერიოზული გავლენები აქვს ალიანსში?***

– რასმუსენს გავლენები აქვს ნატოში, თუმცა რასმუსენი მუშაობს იმ ბანკში, რომელზეც გავლენები აქვს რუსეთს. აქ მნიშვნელოვანია ის, ვისი პოზიცია გააჟღერა რასმუსენმა. ამის ანალიზისგან ამ წუთას თავს შევიკავებდი, მაგრამ ფაქტია, რომ ამით რასმუსენმა დატესტა სიტუაცია საქართველოში. ზოგადად ის, რომ ურთულესი პოლიტიკური მოცემულობაა, ეს ცხადზე ცხადია.

ამერიკის ასეთი ექსცენტრიკული პრეზიდენტის მმართველობის დროს, რუსეთი მიიჩნევს, რომ ახლა არის მისი შანსი თავისი პოზიციების გასაძლიერებლად. დრო ახლა რუსეთზე მუშაობს.

2020 წელს საქართველოში არჩევნებია და რუსეთი მაქსიმალურად შეეცდება, რომ მიიღოს რუსეთის მიმართ ისეთი ლოიალურად განწყობილი პარლამენტი, რომელიც არასდროს არ ყოფილა. ყველაფერი ეს იკინძება ერთიანი ჯაჭვის რგოლებად და ლავროვ-ზალკალიანის შეხვედრაც ამ სურათში ეწერება.

ვიღებთ საოცარ სურათს, რა შეიძლება ყოფილიყო ამ შეხვედრის თემა. მე ვფიქრობ, რომ რუსეთი ყველაფერს გააკეთებს, რომ ასეთი შეხვედრები კიდევ შედგეს. ან შეიძლება არც იყოს ლავროვის ამ ცინიკური შეფასების შემდეგ. მაგრამ რუსეთი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მაქსიმალურად იყვნენ წარმოდგენილი პრორუსული ძალები საქართველოს მომავალ პარლამენტში. კეთილგანწყობის გარკვეული ილუზიაც შეიძლება შექმნას, მაგრამ არავის უნდა ჰქონდეს იმედი, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად პროცესი რეალურად დაიძვრება. მაქსიმუმი, რასაც შეიძლება მივაღწიოთ, არის ის, რომ საოკუპაციო ზოლზე ე. წ. საზღვრის გადმოწევა შეჩერდეს. ესეც საქართველოს ხელისუფლების სრული მორჩილების შემთხვევაში.

დასავლელი დიპლომატებიც აღიარებენ, რომ დღეს საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში, ოპოზიციაში ძლიერი პოლიტიკური ფიგურების დეფიციტია და ამ ფონზე გვიწევს რუსეთთან ბეწვის ხიდზე გავლა. როგორ გადავრჩეთ იმ პირობებში, როცა საქართველოს ხელისუფლება თავს არ იკლავს ნატოსთან და ევროკავშირთან დაახლოების მხრივ და თან რუსეთი ცდილობს, რომ კიდევ უფრო მეტი დაათმობინოს საქართველოს ხელისუფლებას, ეს ცალკე კვლევის თემაა.

***– ანუ, რეალურად, ძალიან სახიფათო თამაშში ვართ ჩართული?***

– ძალიან სახიფათო თამაშში ვართ. ამ პირობებში ქილიკი და ერთმანეთის მიმართ ხელის გაშვერა კი არ გვმართებს, არამედ საერთო სახალხო კონსოლიდაცია და ერთიანი სტრატეგიის შემუშავება, რასაც მე, სამწუხაროდ, არ ველი. იმიტომ, რომ დღეს საქართველოში ყველა თვითგადარჩენის რეჟიმშია. პოლიტიკური პარტიები ყველანი ორიენტირებულები არიან 2020-ზე. ყველა ცდილობს თვითგადარჩენის ინდივიდუალური პროგრამის შემუშავებას.

# საჰაერო ტერორიზმის რუსული ქრონიკები

## პარალელები 1993 წლის ბაბუშერას ტრაგედიასა და უკრაინაში მალაიზიური ბოინგის ჩამოგდებას შორის






რუსეთი და მის მიერ კაპიკ-რუბლებით დაფინანსებული აფხაზი სეპარატისტები როცა ქართველების მიერ ჩადენილ მცირე ეთნოსების გენოციდზე ალაპარაკდნენ, გავიხსენოთ, მივუთითოთ და ვიყვიროთ იმის შესახებ, თუ რა არის ნამდვილი გენოციდი.

26 წლის წინ, 1992-93 წლებში საქართველოს 250 ათასზე მეტი მოქალაქე დევნილი გახდა, ათასობით ქართველი კი სიცოცხლეს გამოესალმა. სოხუმისთვის გადამწყვეტ ბრძოლას წინ ცეცხლის შეწყვეტისა და კონფლიქტის ზონიდან სამხედრო ტექნიკის გაყვანის შესახებ შეთანხმება უძღოდა. 13-თვიანი ომის დასასრულს, 16 სექტემბერს, აფხაზმა სეპარატისტებმა შეთანხმება დაარღვიეს.

სეპარატისტების თარეშს ქართველების არნახული ხოცვა და ეთნიკური წმენდა მოჰყვა. რეგიონში ქართული ეთნოსის და ჯარის ასეთი მასშტაბით განადგურება აფხაზ სეპარატისტებს მხოლოდ ერთმა გარემოებამ შეაძლებინა – მათ რუსული სამხედრო და პოლიტიკური მანქანა მოურიდებლად ეხმარებოდა. 27 სექტემბერს კი სოხუმი დაეცა.

დღეს, კრემლი იმავეს სხვა ქვეყნებშიც აკეთებს – ყველა მეთოდით ეხმარება სასურველ რეჟიმებს, დიქტატორებს, სეპარატისტებს; შუაზე ხლეჩს დემოკრატიულ სახელმწიფოებს, როგორც ეს უკრაინის შემთხვევაში მოხდა. აწყობს პუტჩებს, ზოგჯერ წარუმატებლადაც, მაგრამ ფაქტია, რომ თავისას არ იშლის.

ანალიტიკოსები ყოველდღიურად აკვირდებიან იმ ბოროტმოქმედებას, რაც რუსეთის ხელწერად იქცა, ჩვენ კი ეს საკუთარ თავზე, წლების წინ გამოვცადეთ. საკუთარ თავზე ვიწვნიეთ საჰაერო ტერორიზმიც, რომელიც აფხაზმა სეპარატისტებმა სწორედ რუსული სამხედრო ძალების პირდაპირი ჩართულობით დაგვატეხეს თავს. 1993 წელს, 22 სექტემბერს, თვითმფრინავს, რომელიც თბილისიდან სოხუმში მიფრინავდა, აფხაზური კატარღიდან საზენიტო რაკეტა ესროლეს. თვითმფრინავში 120 მგზავრი და ეკიპაჟის 12 წევრი იმყოფებოდა. ისინი ცოცხლად დაიწვნენ. მათგან მხოლოდ 16 ადამიანი გადარჩა.

აფხაზი სეპარატისტების საჰაერო ტერორიზმის პირველი მსხვერპლი კი, როგორც ჩანს, გაუთვალისწინებლად, 21 სექტემბერს აღმოჩნდა ის თვითმფრინავი, რომელიც სოჭიდან სოხუმისკენ მიფრინავდა. შავი ზღვის ნაპირთან, კატარღიდან, მას დამიზნებით ესროლეს და თვითმფრინავი ზღვაში ჩავარდა. დაიღუპა 28 ადამიანი, მათ შორის იყვნენ რუსეთის მოქალაქეები და რუსი ჟურნალისტიც. ბორტზე იყო ჟურნალისტი ალექსანდრა ტატლიც, რომელსაც უოლ სტრიტ ჯორნელისთვის რეპორტაჟი უნდა მოემზადებინა. რუსული პრესა მხოლოდ გაკვრით, დეტალებში ჩახედვის გარეშე და შენიღბვით თუ იხსენებს ამ ფაქტს. აბა რაში აწყობთ იმის დაზუსტება, რომ მათ მიერ მხარდაჭერილებმა, რუსეთისავე მოქალაქეები იმსხვერპლეს.

როგორც თვითმხილველების ნაწილი აცხადებს, სწორედ ამ აფხაზური კატარღიდან, 22 სექტემბერს, ბაბუშერას აეროპორტში დასაჯდომად დაშვებულ სამოქალაქო ავიალაინერ ტუ-154-ბ-ს საზენიტო რაკეტა ესროლეს. ამჯერად „სწორად" და ამ გასროლამ ბორტი შუაზე გააპო – თვითმფრინავი დაიწვა და დატრიალდა ნამდვილი ტრაგედია – ადამიანები ცოცხლად იწვოდნენ.

23 სექტემბერს კი დაუნდობლად ესროლეს თვითმფრინავს, რომელშიც ქართველი დევნილები სხდებოდნენ. საბედნიეროდ, ეკიპაჟმა მათი ევაკუაცია და გადარჩენა შეძლო. თუმცა, მომხდარის დროს, ეკიპაჟის 1 წევრი დაიღუპა.

იყო სხვა შემთხვევებიც. სეპარატისტები და რუსი სამხედროები ქართულ თვითმფრინავებზე ჯერ კიდევ 1993 წლის აგვისტოში ნადირობდნენ, თუმცა ამდენად მასშტაბური დანაკარგი მაშინ არ გამოუწვევიათ. ყველა ცნობით და დადასტურებულად დგინდება, რომ აფხაზების შეიარაღება და სწავლება რუსების მიერ იყო ორგანიზებული. ამ კუთხით ძალიან ნიშანდობლივია, რომ ჯერ კიდევ 1993 წლის 19 მარტს, სოხუმის ჩრდილოეთით რვა კილომეტრში რუსული მოიერიშე სუ-27 ჩამოვარდა, რუსი პილოტი ვაცლავ შიპკო კი დაიღუპა. მაშინ, კრემლს მოუწია იმის აღიარება, რომ გარკვეულ პროცესებში მონაწილეობს, თუმცა მხოლოდ „ნაწილობრივ".

გუდაუთასთან ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროიდან სამხედრო-საჰაერო ძალების პოლკის ბაზა იყო. შესაბამისად, რუსეთს, რომელიც სეპარატისტებს ეხმარებოდა, თავისი ქვეყნიდან ბომბდამშენების და მფრინავების გადმოსროლა არც კი სჭირდებოდა, უკვე იქ იყვნენ. ხშირად იბომბებოდა ციდან ის აფხაზური ქალაქებიც, რომლებსაც 13-თვიანი ომის დროს ქართული მხარე აკონტროლებდა. ამას გარდა, ცხადია, რომ უშუალოდ მცირერიცხოვან სეპარატისტულ ე.წ. ჯარს არც მსგავსი სიმძლავრის იარაღი, საჰაერო ძალები თუ გაწვრთნილი პერსონალი არ ჰყავდა და ვერც ეყოლებოდა. ასევე, მრავალ მტკიცებულებათა შორის არის რუსულ პრესაში იმ რუსი პილოტების ინტერვიუები და მემუარები, რომლებიც დღეს დეტალებში და დიდი სიამაყით ყვებიან, თუ როგორ ეხმარებოდნენ აფხაზებს, ხოლო შემდეგ მათთან სამუშაოდ, ინსტრუქტორებად დარჩნენ.

ძალიან ნიშანდობლივია ის ინფორმაციაც, რომელსაც ჟურნალ „არსენალის" რედაქტორი, სამხედრო ექსპერტი და ბაბუშერას ტრაგედიის უშუალო თვითმხილველი ირაკლი ალადაშვილი აქვეყნებს.

იგი აღნიშნავს, რომ იმავე დღეებში, სოხუმთან ჩამოგვიგდეს ქართული მოიერიშე თვითმფრინავი, რომელსაც საზენიტო რაკეტა წინ აუფეთქდა და ეს შეჯავშნული თვითმფრინავი ჰაერშივე დაშალა, რაც რაკეტის საბრძოლო ქობინის დიდ სიმძლავრეზე მიუთითებდა.

ჰაერში დაშლილი ქართული მოიერიშის პილოტის კაბინის გახვრეტილი შეჯავშნული 55 მმ სისქის შუბლა მინის დათვალიერებისას, მას მაშინვე გაუჩნდა ეჭვი, რომ რუსმა სამხედროებმა ჩვენ წინააღმდეგ „ბუკის" საზენიტო-სარაკეტო კომპლექსიდან გამოშვებული საზენიტო რაკეტა გამოიყენეს, თუმცა მაშინ ამის შესამოწმებლად არც დრო იყო და არც საშუალება. აგრეთვე, „კვირის პალიტრის" ბლოგში ალადაშვილი წერს, რომ რუსულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, თურმე „2001 წლის 26 ოქტომბერს აფხაზებმა რუს სამხედროებს წაართვეს და ახალ ათონთან ერთ-ერთ სარკინიგზო გვირაბში გადამალეს სარკინიგზო პლატფორმები, რომლებზეც ორი საზენიტო „ბუკი" იდგა (რუსი სამხედროები გუდაუთიდან ადლერში მათ დაბრუნებას აპირებდნენ), რითაც რუსეთის ახალი პრეზიდენტის, პუტინის დიდი გულისწყრომა გამოუწვევიათ. კრემლმა, რა თქმა უნდა, დაიბრუნა თავისი „ბუკები", მაგრამ საქვეყნოდ გაცხადდა, რომ რუსეთს სეპარატისტულ აფხაზეთში თურმე მალულად ჰქონია ასეთი მძლავრი საზენიტო საშუალება, რომლითაც ყრიდა ქართულ თვითმფრინავებს, მათ შორის, სამგზავროებსაც."

ძნელია არ დაეთანხმო ალადაშვილს იმაში, რომ ამ შემთხვევაში ძალიან საყურადღებოა ის პარალელი, რომელიც წლების წინ, რუსეთის მიერ აფხაზი სეპარატისტების მხარდაჭერასა და უკვე დღეს, უკრაინელი სეპარატისტების მხარდაჭერას შორის ლოგიკურად ჩნდება.

კრემლი აკეთებს დღეს იგივეს, რასაც 90-იან წლებში საქართველოში აკეთებდა. ამის დასტურად კი შეგვიძლია მოვიყვანოთ უკრაინაში, 2014 წლის 17 ივლისს, მომხდარი საჰაერო ტერორიზმის და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის უმძიმესი ფაქტი – ამსტერდამიდან კუალა-ლუმპურის მიმართულებით მფრინავი მალაიზიური ავიახაზების თვითმფრინავი მჰ17 აღმოსავლეთ უკრაინაში რუსეთის საზღვართან „ბუკით" ჩამოაგდეს.

ბორტზე 280 მგზავრი და ეკიპაჟის 15 წევრი იმყოფებოდა. თვითმფრინავი 10.000 მეტრ სიმაღლეზე მიფრინავდა, როდესაც „ბუკ"-მა ააფეთქა. დაიღუპა ბორტზე მყოფი ყველა ადამიანი.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებით დაკომპლექტებულმა საგამოძიებო გუნდმა დაადგინა, რომ რაკეტა, რომელმაც ეს თვითმფრინავი ჩამოაგდო, რუსული წარმოშობისაა და რუსეთის შეიარაღებული ძალების 53-ე ბრიგადიდან გაისროლეს. გამოვლენილია 4 პირი, რომლებმაც უშუალო მონაწილეობა მიიღეს აფეთქებასა და მტკიცებულებების გადამალვაში, მათი სასამართლო 2020 წლის მარტში უნდა გაიმართოს.

რა თქმა უნდა, კრემლი თვითმფრინავის ჩამოგდებასთან კავშირს ამ დრომდე უტიფრად უარყოფს. ამოქმედებულია მძლავრი პროპაგანდისტული მანქანა, მაგრამ ამ შემთხვევაში შეგროვებული სამხილი არის უამრავი და საკმარისზე საკმარისი.

და უნდა გაუკვირდეს კი მსოფლიოს ის, რომ 21 წლის შემდეგ ისტორია განმეორდა?

*ელენე ფარცვანია*

## ვაკეში 2 ადამიანი დაჭრეს



გუშინ თბილისში, ყიფშიძის ქუჩაზე სროლა იყო. დაპირისპირება სამშენებლო ობიექტის ტერიტორიაზე მოხდა.

დაიჭრა 2 ადამიანი. ორივე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ მე-9 საავადმყოფოში გადაიყვანა.

თვითმხილველების ინფორმაციით, ყიფშიძის ქუჩაზე მომხდარ დაპირისპირებაში რამდენიმე პირი ფიგურირებდა, რომელთა შორის ერთი ქალია, რომელიც ინციდენტის მონაწილეების გაშველებას ცდილობდა.

ერთი პიროვნება ბარძაყის არეშია დაჭრილი, მეორეს კი ჭრილობები თავის და მუცლის არეში აღენიშნება.

გარჩევა, სავარაუდოდ, ფულის გამოძალვას უკავშირდება. დაუდასტურებელი ინფორმაციით, მამაკაცები, რომლებიც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ბიზნესპარტნიორები არიან.

ექიმი ირაკლი ფირცხალაშვილი ამბობს, რომ ცეცხლსასროლი იარაღის კვალი არც ერთ მათგანს არ აღენიშნება, ჭრილობები ცივი იარაღით არის მიყენებული.

ამასთან, ვრცელდება ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, პოლიციამ დაპირისპირების განეიტრალების მიზნით ჰაერში ერთი გასროლა განახორციელა.

როგორც ინტერპრესნიუსს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის" 19-108 მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

– ამ ეტაპზე არსებული ინფორმაციით, დაშავებულია 2 პირი, რომელიც საავადმყოფოშია გადაყვანილი. ადგილზე მობილიზებული არიან სამართალდამცველები, ტარდება საგამოძიებო ღონისძიებები, – აცხადებენ შსს-ში.

ქალი პოლიციამ დაკითხვაზე გადაიყვანა.

## ნოდარ მელაძემ და ნანუკა ჟორჟოლიანმა „რუსთავი 2"-ს სასამართლოში უჩივლეს




„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" ჟურნალისტების ნანუკა ჟორჟოლიანისა და ნოდარ მელაძის უფლებებს სასამართლოში დაიცავს.

„საერთაშორისო – გამჭვირვალობა საქართველოს" განცხადებით, გასაჩივრებულია ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის გენერალური დირექტორის, პაატა სალიას გადაწყვეტილება, რომლითაც ნანუკა ჟორჟოლიანი და ნოდარ მელაძე სამსახურებრივი მოვალეობის უხეში დარღვევის მოტივით უკანონოდ გაათავისუფლეს ტელეკომპანიიდან.

– ჩვენი ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვანია, ჟურნალისტები არ იდევნებოდნენ მათი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა თუ შეხედულებებისათვის.

ასევე, შრომის კოდექსის დარღვევით არ ხდებოდეს მათი სამსახურიდან განთავისუფლება და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დარღვევა, – აცხადებენ „საერთაშორისო – გამჭვირვალობა საქართველოში".

## თბილისში „გლოვოს" კურიერი დაიღუპა

თბილისში, საკურიერო მომსახურების „გლოვოს" კურიერი მოტოციკლით ავარიაში მოყვა და ადგილზე დაიღუპა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

## გოგა წურწუმია: „ჩემი ძმა მიყვარს და მეყვარება, თავს არ დავიცავ"



გუშინ, 30 სექტემბერს, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლოს მოსამართლე ირაკლი აბშილავამ ძმის მკვლელობაში ბრალდებულს, 1983 წ. დაბადებულ გოგა წურწუმიას აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

მოსამართლემ სრულად გაიზიარა პროკურატურის შუამდგომლობა.

– მე არ ვაპირებ თავის გამართლებას. ისეთ რაღაცას შეეხო ჩემი ძმა. მე ის მიყვარს და მეყვარება. თავს არ დავიცავ, – აღნიშნა ბრალდებულმა სასამართლო სხდომაზე და უფლებადამცველის ყოლაზე უარი განაცხადა.

28 სექტემბერს, გოგა წურწუმიამ ძმას, რობერტ წურწუმიას, ცივი იარაღით მრავლობითი ჭრილობები მიაყენა გულმკერდის არეში. დაჭრილი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული შემთხვევიდან რამდენიმე საათში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში დააკავეს.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს. დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

წინასასამართლო სხდომა 15 ნოემბერს დაინიშნა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## ნაომი კემპბელი მოდის ჩვენებაზე საცვლების გარეშე მივიდა



სუპერმოდელი ნაომი კემპბელი პარიზში მოდის კვირეულის ფარგლებში გამართული Off-White-ს ბრენდის ჩვენებაზე უსაცვლებოდ მივიდა.

49 წლის ბრიტანელი ჩვენებაზე შიშველ სხეულზე ჩაცმული თეთრი პიჯაკით, აბრეშუმისყვავილებიანი ქვედაბოლოთი და შავი ფეხსაცმლით მივიდა. ამ ყოველივეს ასევე ავსებდა დიდი მზის სათვალე და ცისფერი ხელჩანთა.

## ემილი რატაკოვსკიმ თავი ეროტიკული საცურაო კოსტიუმით მოიწონა



ამერიკელმა სუპერმოდელმა, მსახიობმა და დიზაინერმა ემილი რატაკოვსკიმ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე ეროტიკულ საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი საკუთარი ფოტოსურათი გამოაქვეყნა.

ორი კადრისგან შემდგარ სერიაში რატაკოვსკი საკუთარი ბრენდის ინამორატა ვუმენის შავი საცურაო კოსტიუმში პოზირებს. ეს სამოსი ისეა შეკერილი, რომ სრულიად აშიშვლებს მოდელის დუნდულებსა და თეძოებს, ხოლო კლივიჯის ჭრილი უკანალის ოდნავ ზევით მთავრდება.

თაყვანისმცემლებმა მოდელი ქათინაურებითა და კომენტარებით აავსეს.

— უმშვენიერესი ხარ, — დაწერა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა.

— ღმერთებ, პატარავ, — აღფრთოვანება ვერ დამალა მეორემ.

— იდეალური სხეული გაქვს, — შეაქო რატაკოვსკი მესამე თაყვანისმცემელმა.

## კიმ კარდაშიანმა საცვლების რეკლამაში მიიღო მონაწილეობა



ტელევარსკვლავმა და მეწარმე კიმ კარდაშიან-უესტმა საკუთარი ბრენდის Skims-ს კორექტირებადი საცვლების რეკლამაში მიიღო მონაწილეობა. ამის ამსახველი ფოტოსურათი ინსტაგრამში ტელევარსკვლავის გვერდზე გამოქვეყნდა. ფოტოზე კარდაშიანი შავ ბიუსტჰალტერ-ბანდოსა და იმავე ფერის ტრუსშია გამოწყობილი, იატაკზეა წამოწოლილი და ხელი თავზე აქვს შემოდებული.

— აღფრთოვანებული ვარ Skims-ს ახალი კოლექციისგან, რომლებიც საბაზო ბრისგან არის შემდგარი, რამდენიმე შავი ფერის შეფარდებით. ისინი ყველაზე რბილი და წელვადი მასალისგანაა, — დაწერა კომენტარში ტელევარსკვლავმა.

თაყვანისმცემლებმა არ დაიშურეს ქების სიტყვები ბრენდისა და კარდაშიანის გარეგნობის მისამართით.

— ეს ბრები, უბრალოდ, ბრწყინვალეა! აღფრთოვანებული ვარ! — აღტაცება ვერ დამალა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა.

— თქვენი პროდუქციიდან თუნდაც ერთი ნივთი მინდა, რომ მქონდეს, — აღიარა მეორემ.

— კიმ, იდეალური ფორმები გაქვს, — დაწერა კომენტარში კიდევ ერთმა თაყვანისმცემელმა.

## ამერიკელი დემოკრატები ტრამპი-პუტინის საუბრების გაცნობას მოითხოვენ



აშშ-ში გრძელდება სკანდალი ტრამპი-ზელენსკის სატელეფონო საუბრების გამოქვეყნების გამო.

დემოკრატები ტრამპს უკვე არა მხოლოდ უკრაინაზე ზეწოლაში ადანაშაულებენ, კონგრესის სპიკერი და დემოკრატიული პარტიის წევრი ნენსი პოლოსი მას ქვეყნის ინტერესების ღალატში სდებს ბრალს. კონგრესის დაზვერვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ და ასევე დემოკრატიული პარტიის წევრმა ადამ შიფმა განაცხადა, რომ ტრამპს რუსეთის წინაშე კაპიტულაცია სურს, უკრაინა კი მისთვის ჩვეულებრივი საჯილდაო ქვაა.

— მოვითხოვთ, რომ უფლება მოგვცენ, ტრამპი-პუტინის საუბრების ჩანაწერებსაც გავეცნოთ, — განაცხადა შიფრმა.

ამან რუსები შეაშფოთა. პუტინის თანაშემწე პესკოვმა შენიშნა, რომ საუბრები კონფიდენციალურ ხასიათს ატარებდა და ისინი ფართო საზოგადოებისათვის არ არის განკუთვნილი. თეთრმა სახლმა თავის მხრივ ტრამპი-პუტინის საუბრებზე მიწვდომა შეზღუდა. მიუხედავად ამისა, დემოკრატები არ ცხრებიან.

— ჩვენი მოთხოვნა კატეგორიულია! დაე, კონგრესის დახურული სხდომა ჩატარდეს, მაგრამ ტრამპი-პუტინის საუბრების შინაარსს აუცილებლად უნდა გავეცნოთ, — ამტკიცებს შიფი.

## საპროტესტო აქცია მოსკოვში




მოსკოვში აკადემიკოს სახაროვის სახელობის მოედანზე საპროტესტო აქცია გაიმართა. მისი ორგანიზატორი რუსეთის ლიბერტარიანული პარტია იყო.

მასში 25.000-მა მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა.

მომიტინგეებმა პოლიტპატიმრების გათავისუფლება და ავტორიტარული რეჟიმის დემონტაჟი მოითხოვეს. მათ სიტყვით მიმართეს რუსული დემოკრატიული ოპოზიციის ლიდერმა ნავალნიმ, დემოკრატიული მოძრაობის აქტივისტებმა ეიმონტმა, მელნიკოვმა და სხვებმა.

## ავსტრიაში კურცი ლიდერობს

ავსტრიის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებში ყოფილი კანცლერის სებასტიან კურცის პარტია ლიდერობს. წინასწარი ინფორმაციით, „ავსტრიის სახალხო პარტიამ" ამომრჩეველთა ხმების 37,7% მიიღო.

მეორე ადგილზეა „სოციალ-დემოკრატიული პარტია", რომელმაც ხმების 22,1% მიიღო, მესამე ადგილზე — ულტრამემარჯვენე „თავისუფლების პარტია" ხმების 16%-ით, მეოთხე ადგილი „მწვანეებმა" დაიკავეს, მათ მხარი ამომრჩეველთა 14%-მა დაუჭირა.




## საფრანგეთი ჟაკ შირაკს გამოეთხოვა



საფრანგეთი ექსპრეზიდენტ ჟაკ შირაკს გამოეთხოვა. სამგლოვიარო ცერემონია გაიმართა სახლთან, სადაც ის უკანასკნელ წლებში ცხოვრობდა. აქ უამრავმა პარიზელმა მოიყარა თავი. ისინი ყოფილ პრეზიდენტს გამოეთხოვნენ. ამის შემდეგ ის ეკლესიაში წაასვენეს, სადაც წესი აუგეს და პანაშვიდი გადაუხადეს.

ჟან შირაკი, თავისი ანდერძის თანახმად, მონპარნასის სასაფლაოზე დამარხეს მისი ქალიშვილის გვერდით, რომელიც 2016 წელს გარდაიცვალა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## თაღლითი დამნაშავე საკუთარმა მაისურმა გასცა



ამერიკის ვისკონსინის შტატის ქალაქ მილუოკის მცხოვრებმა 39 წლის ფრენკ მარშალმა ერთი დღის განმავლობაში ორჯერ ცადა, მაღაზიაში ფული მოპარული საკრედიტო ბარათით გადაეხადა და ის ამხილეს, ვინაიდან ეცვა მაისური, რომელზეც მისივე სახელი ეწერა.

მარშალი მივიდა მაღაზიაში და შეიძინა პლანშეტი iPad და მოწყობილობა PS4. შენაძენისთვის ფული საკრედიტო ბარათით გადაიხადა. ამის შემდეგ გადაწყვიტა, სათამაშო კონსოლი Xbox შეეძინა და ფულის გადასახდელად იმავე ბარათით ისარგებლა. მაღაზიის თანამშრომელმა მამაკაცის ქცევა უცნაურად მიიჩნია და ყურადღება მიაქცია იმას, რომ მყიდველს ეცვა მაისური, რომელზე სახელი „ფრენკი" ეწერა. ეს სახელი კი არ ემთხვეოდა ბარათზე მითითებულ სახელს.

მოგვიანებით ექვმიტანილი იმავე მაღაზიაში დაბრუნდა. ამჯერად ის Apple-ს ნოუთბუქის შეძენას შეეცადა და თანხა გადაიხადა საკრედიტო ბარათით, რომელზეც უკვე სულ სხვა სახელი იყო მითითებული. მენეჯერმა მამაკაცს შენაძენის მიცემაზე უარი უთხრა და პოლიცია გამოიძახა. მაშინ მარშალი თავის თანამზრახველ გარი მილერთან ერთად ავტომობილით მიმალვას შეეცადა.

პოლიციელებმა გაქცეულებს 11 კილომეტრის მანძილზე სდიეს. ამ დევნის დროს მარშალი და მისი თანამზრახველი მანქანის ფანჯრებიდან საბუთებსა და საკრედიტო ბარათებს ყრიდნენ. როდესაც საბოლოოდ პოლიციელებმა მათი გაჩერება მოახერხეს. ავტომობილის საბარგულში იმ დღეს შეძენილი ნივთები აღმოაჩინეს.

ორივე მამაკაცს სხვისი საბუთებით სარგებლობის სამ შემთხვევაში, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისა და მანქანის გაჩერების მოთხოვნის იგნორირების ბრალდება წაუყენეს. მოგვიანებით მილერი გარდაიცვალა. მარშალის საქმის განხილვა კი 31 ოქტომბერსაა დანიშნული.

## „პატიოსანი" ჩინოსანი სარდაფში ტონობით ოქროს მალავდა



ჩინეთში პოლიციელებმა საქალაქო ოლქის განჩჟოუს ყოფილი მერის ჩჟან ცის სახლში 13,5 ტონა ოქროს ზოდები აღმოაჩინეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი პორტალი ავრცელებს.

გამოცემის მონაცემებით, ცი არაერთხელ იყენებდა ფრაზას: „პატიოსნება ჩემი მთავარი უპირატესობაა!" ხელისუფლებამ 57 წლის ჩინოსანზე ეჭვი კორუფციაში მონაწილეობასა და სხვა სერიოზულ დარღვევებზე მიიტანა. პოლიციამ გამოძიება დაიწყო.

ჩხრეკის დროს ეროვნულმა საზედამხედველო კომისიამ ცის სახლის სარდაფში ტონობით ოქრო და დიდი ოდენობით ნაღდი ფული აღმოაჩინა. უფრო მეტიც, მამაკაცი ხელისუფლებას მდიდრულ უძრავ ქონებას უმალავდა. თვითმხილველის მიერ გადაღებულ ვიდეოში ჩანს, თუ როგორ არის სარდაფის იატაკი მოფენილი უამრავი ოქროს ზოდით.

ყოფილი მერის სახლიდან ოქრო, ფული, ძვირფასი ქვები და ანტიკვარული ნივთები რამდენიმე სატვირთო მანქანით გაიტანეს. ამ დანაშაულის გამო ჩჟან ცის სიკვდილით დასჯა ემუქრება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## განცხადებები

**იყიდება**

● იყიდება მსხმოიარე ვენახი 0,5 ჰექტარი, ვენახში არის ჩინურის, თავკვერის და ალადასტურის ჯიშის ყურძენი. თბილისიდან 35 წუთის სავალზე, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში. ნაკვეთთან ახლოს გადის გზა, წყალი, გაზი და სინათლე. გამოდგება მარნის მოსაწყობად. 1 კვ.მ ფასი 12 ლარი. ტელ: 593 127337; 593 515603.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამადანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# შენგელიამ და შერმადინმა სეზონი მძლავრად დაიწყეს

ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის მეორე ტურში ფავორიტების დაპირისპირება შედგა. თორნიკე შენგელიას ბასკონია ბარსელონას ესტუმრა და გამარჯვებასთან ახლოს იყო, თუმცა დამატებით დროში 87:95 წააგო.

ქართველი ფორვარდი ბასკონიელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო. შენგელიამ სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე გატარებულ 37 წუთში 16 ქულა, 4 მოხსნა და 3 პასი მიითვალა. თორნიკემ 9-დან 4 ორქულიანი, 6-დან 2 სამიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

თითო მოგებ-წაგებით ბასკონია ცხრილის შუაშია და შემდეგ ტურში უნიკახას უმასპინძლებს.

ესპანეთის ჩემპიონატის მარცხით დაწყების შემდეგ, გიორგი შერმადინის ტენერიფემ გამარჯვება იზეიმა.



მეორე ტურის მატჩში ტენერიფელები შერმადინის ყოფილ გუნდ უნიკახას მალაგაში ესტუმრნენ და 88:80 იმარჯვეს, რაშიც თავისი დამაჯერებელი წილი ქართველმა ცენტრმაც დაიდო.

აღსანიშნავია, რომ შერმადინთან ერთად გასულ სეზონში უნიკახაში თამაშობდნენ ამჟამად იბეროსტარის კალათბურთელები – დანი დიესი და საშუ სალინი. სამივე ამ კალათბურთელმა დიდებულად ითამაშა და სწორედ მათი ძალისხმევით ტენერიფელებმა გასვლითი გამარჯვება მოიპოვეს.

შერმადინი სტუმართა სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და მოედანზე 32 წუთი გაატარა. გიორგიმ 9-დან 4 ორქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო და 12 ქულას 5 მოხსნა (2 შეტევაში), 3 პასი, 2 ჩაჭრა და 2 დაფარება წაამატა.

შედეგად, შერმადინის სარგებლიანობის კოეფიციენტი 20-ს გაუტოლდა და ის თანაგუნდელთა რიგებში სალინსა (24 ქულა) და დიეზს (19 ქულა, 9 მოხსნა) ჩამორჩა.

ტენერიფესაც თითო მოგება-წაგება აქვს, მომდევნო მატჩს კი, შინ, მადრიდის რეალთან გამართავს.

ბექა ბურჯანაძის გრან კანარიამ ჩემპიონატი მარცხით დაიწყო და გამარჯვება ვერც მეორე ტურში მოიპოვა. კანარელები სტუმრად ესტუდიანტესს შეხვდნენ და 78:82 წააგეს.

ქართველმა მძიმე ფორვარდმა მოედანზე 16 წუთი გაატარა და 3 ქულა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. ბექამ 2-დან 1 ორქულიანი და 4-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, 2 სამქულიანი ააცილა. აღსანიშნავია, რომ ბურჯანაძემ პირველი ტურის მატჩშიც 3 ქულა მიითვალა.

გრან კანარია მესამე ტურის მატჩში მანრესას ესტუმრება.

## შედეგები

### 30 სექტემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლესტერი-ნიუკასლი ..... 5:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 7 | 7 | 0 | 0 | 18-5 | 21 |
| 2.სიტი | 7 | 5 | 1 | 1 | 27-7 | 16 |
| 3.ლესტერი | 7 | 4 | 2 | 1 | 13-5 | 14 |
| 4.ვესტ ჰემი | 7 | 3 | 3 | 1 | 10-9 | 12 |
| 5.ტოტენჰემი | 7 | 3 | 2 | 2 | 14-9 | 11 |
| 6.ჩელსი | 7 | 3 | 2 | 2 | 14-13 | 11 |
| 7.ბორნმუთი | 7 | 3 | 2 | 2 | 13-12 | 11 |
| 8.არსენალი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-10 | 11 |
| 9.კრ.პალასი | 7 | 3 | 2 | 2 | 6-7 | 11 |
| 10.ბარნლი | 7 | 2 | 3 | 2 | 10-9 | 9 |
| 11.მანჩესტერი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-6 | 8 |
| 12.შეფილდი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-7 | 8 |
| 13.ვულვზი | 7 | 1 | 4 | 2 | 9-11 | 7 |
| 14.საუთჰემპტონი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-11 | 7 |
| 15.ევერტონი | 7 | 2 | 1 | 4 | 6-12 | 7 |
| 16.ბრაიტონი | 7 | 1 | 3 | 3 | 5-10 | 6 |
| 17.ნორვიჩი | 7 | 2 | 0 | 5 | 9-16 | 6 |
| 18.ასტონ ვილა | 7 | 1 | 2 | 4 | 8-11 | 5 |
| 19.ნიუკასლი | 7 | 1 | 2 | 4 | 4-13 | 5 |
| 20.უოტფორდი | 7 | 0 | 2 | 5 | 4-20 | 2 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნსლი-ბრენტფორდი ..... 1:3

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ფორტუნა-ფრაიბურგი ..... 1:2
კიოლნი-ჰერტა ..... 0:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 6 | 4 | 2 | 0 | 19-6 | 14 |
| 2.ლაიფციგი | 6 | 4 | 1 | 1 | 14-6 | 13 |
| 3.შალკე | 6 | 4 | 1 | 1 | 13-6 | 13 |
| 4.ფრაიბურგი | 6 | 4 | 1 | 1 | 13-5 | 13 |
| 5.გლადბახი | 6 | 4 | 1 | 1 | 10-5 | 13 |
| 6.ლევერკუზენი | 6 | 4 | 1 | 1 | 11-7 | 13 |
| 7.ვოლფსბურგი | 6 | 3 | 3 | 0 | 9-4 | 12 |
| 8.დორტმუნდი | 6 | 3 | 2 | 1 | 17-9 | 11 |
| 9.აინტრახტი | 6 | 3 | 1 | 2 | 9-8 | 10 |
| 10.ჰერტა | 6 | 2 | 1 | 3 | 9-11 | 7 |
| 11.ვერდერი | 6 | 2 | 1 | 3 | 10-14 | 7 |
| 12.ჰოფენჰაიმი | 6 | 1 | 2 | 3 | 4-10 | 5 |
| 13.აუგსბურგი | 6 | 1 | 2 | 3 | 7-14 | 5 |
| 14.ფორტუნა | 6 | 1 | 1 | 4 | 8-11 | 4 |
| 15.უნიონი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-12 | 4 |
| 16.კიოლნი | 6 | 1 | 0 | 5 | 4-15 | 3 |
| 17.მაინცი | 6 | 1 | 0 | 5 | 5-16 | 3 |
| 18.პადერბორნი | 6 | 0 | 1 | 5 | 8-17 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფიურტი-კილი ..... 0:3
ზ.პაული-ზანდჰაუზენი ..... 2:0
აუე-დინამო ..... 4:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ესპანიოლი-ვალიადოლიდი ..... 0:2
ეიბარი-სელტა ..... 2:0
ალავესი-მალიორკა ..... 2:0
ლევანტე-ოსასუნა ..... 1:1
სევილია-სოსიედადი ..... 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 7 | 4 | 3 | 0 | 12-6 | 15 |
| 2.გრანადა | 7 | 4 | 2 | 1 | 13-6 | 14 |
| 3.ატლეტიკო | 7 | 4 | 2 | 1 | 7-4 | 14 |
| 4.ბარსელონა | 7 | 4 | 1 | 2 | 16-10 | 13 |
| 5.სოსიედადი | 7 | 4 | 1 | 2 | 12-7 | 13 |
| 6.სევილია | 7 | 4 | 1 | 2 | 10-7 | 13 |
| 7.ბილბაო | 7 | 3 | 3 | 1 | 7-3 | 12 |
| 8.ვილიარეალი | 7 | 3 | 2 | 2 | 18-11 | 11 |
| 9.ვალენსია | 7 | 2 | 3 | 2 | 10-11 | 9 |
| 10.ვალიადოლიდი | 7 | 2 | 3 | 2 | 7-8 | 9 |
| 11.ეიბარი | 7 | 2 | 2 | 3 | 9-9 | 8 |
| 12.ლევანტე | 7 | 2 | 2 | 3 | 8-9 | 8 |
| 13.ოსასუნა | 7 | 1 | 5 | 1 | 5-6 | 8 |
| 14.ალავესი | 7 | 2 | 2 | 3 | 4-7 | 8 |
| 15.ბეტისი | 7 | 2 | 2 | 3 | 10-15 | 8 |
| 16.ხეტაფე | 7 | 1 | 4 | 2 | 10-11 | 7 |
| 17.სელტა | 7 | 1 | 3 | 3 | 4-9 | 6 |
| 18.ესპანიოლი | 7 | 1 | 2 | 4 | 4-12 | 5 |
| 19.მალიორკა | 7 | 1 | 1 | 5 | 4-12 | 4 |
| 20.ლეგანესი | 7 | 0 | 2 | 5 | 3-10 | 2 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

მალაგა-ხიხონი ..... 0:0
ალმერია-კადისი ..... 1:2
ოვიედო-სარაგოსა ..... 2:2
დეპორტივო-მირანდესი ..... 1:1
ლუგო-ტენერიფე ..... 1:4

**იტალია. სერია ა**

ნაპოლი-ბრეშა ..... 2:1
ლაციო-ჯენოა ..... 4:0
ლეჩე-რომა ..... 0:1
უდინეზე-ბოლონია ..... 1:0
კალიარი-ვერონა ..... 1:1
მილანი-ფიორენტინა ..... 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 6 | 6 | 0 | 0 | 13-2 | 18 |
| 2.იუვენტუსი | 6 | 5 | 1 | 0 | 11-5 | 16 |
| 3.ატალანტა | 6 | 4 | 1 | 1 | 15-9 | 13 |
| 4.ნაპოლი | 6 | 4 | 0 | 2 | 15-10 | 12 |
| 5.კალიარი | 6 | 3 | 1 | 2 | 9-6 | 10 |
| 6.ტორინო | 5 | 3 | 0 | 2 | 8-7 | 9 |
| 7.რომა | 6 | 3 | 2 | 1 | 11-9 | 11 |
| 8.ლაციო | 6 | 3 | 1 | 2 | 11-4 | 10 |
| 9.ფიორენტინა | 6 | 2 | 2 | 2 | 11-10 | 8 |
| 10.ბოლონია | 6 | 2 | 2 | 2 | 7-7 | 8 |
| 11.უდინეზე | 6 | 2 | 1 | 3 | 3-5 | 7 |
| 12.სასუოლო | 6 | 2 | 0 | 4 | 11-12 | 6 |
| 13.ვერონა | 6 | 1 | 3 | 2 | 4-5 | 6 |
| 14.ბრეშა | 6 | 2 | 0 | 4 | 7-9 | 6 |
| 15.პარმა | 5 | 2 | 0 | 3 | 5-7 | 6 |
| 16.მილანი | 6 | 2 | 0 | 4 | 4-8 | 6 |
| 17.ლეჩე | 6 | 2 | 0 | 4 | 6-12 | 6 |
| 18.ჯენოა | 6 | 1 | 2 | 3 | 7-13 | 5 |
| 19.სპალი | 6 | 1 | 0 | 5 | 5-13 | 3 |
| 20.სამპდორია | 6 | 1 | 0 | 5 | 4-14 | 3 |

**იტალია. სერია ბ**

ბენევენტო-ვირტუსი ..... 1:1
კიევო-პორდედონე ..... 1:1
სპეცია-ტრაპანი ..... 2:4
ლივორნო-სალერნიტანა ..... 2:3

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

სტრასბური-მონპელიე ..... 1:0
ნიმი-სტ.ეტიენი ..... 0:1
მარსელი-რენი ..... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 8 | 6 | 0 | 2 | 13-4 | 18 |
| 2.ანჟე | 8 | 5 | 1 | 2 | 16-11 | 16 |
| 3.ნანტი | 8 | 5 | 1 | 2 | 8-5 | 16 |
| 4.ლილი | 8 | 4 | 2 | 2 | 11-7 | 14 |
| 5.მარსელი | 8 | 3 | 4 | 1 | 9-8 | 13 |
| 6.ნიცა | 8 | 4 | 1 | 3 | 12-12 | 13 |
| 7.ბორდო | 8 | 3 | 3 | 2 | 12-9 | 12 |
| 8.რენი | 8 | 3 | 3 | 2 | 8-6 | 12 |
| 9.რეიმსი | 8 | 3 | 2 | 3 | 7-4 | 11 |
| 10.მონპელიე | 8 | 3 | 2 | 3 | 6-6 | 11 |
| 11.ლიონი | 8 | 2 | 3 | 3 | 14-8 | 9 |
| 12.მონაკო | 8 | 2 | 3 | 3 | 14-16 | 9 |
| 13.სტრასბური | 8 | 2 | 3 | 3 | 6-9 | 9 |
| 14.ტულუზა | 8 | 2 | 3 | 3 | 8-12 | 9 |
| 15.ნიმი | 8 | 2 | 2 | 4 | 7-9 | 8 |
| 16.ამიენი | 8 | 2 | 2 | 4 | 9-13 | 8 |
| 17.მეცი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-12 | 8 |
| 18.ბრესტი | 8 | 1 | 5 | 2 | 8-13 | 8 |
| 19.სტ.ეტიენი | 8 | 2 | 2 | 4 | 7-13 | 8 |
| 20.დიჟონი | 8 | 1 | 2 | 5 | 4-10 | 5 |

**ჰოლანდია. ეჩედივიზიონი**

ვალვაიკი-ვიტესი ..... 1:2
ზვოლე-პსვ ..... 0:4
უტრეხტი-ტილბურგი ..... 2:0
ალკმაარი-ერაკლესი ..... 2:0
ფეინოორდი-ტვენტე ..... 5:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

გიმარაეში-ფერეირა ..... 1:0
სანტა კლარა-ჟილ ვისენტე ..... 1:0
პორტიმორენშე-ბრაგა ..... 0:1
რიუ ავე-პორტუ ..... 0:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ურალი-ცსკა ..... 0:3
რუბინი-უფა ..... 0:0
სპარტაკი-ორენბურგი ..... 1:2
კრასნოდარი-არსენალი ..... 2:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-ლუცერნი ..... 3:0
ლუგანო-ქსამაქსი ..... 0:1
სერვეტი-ციურიხი ..... 0:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ალტახი-მატერსბურგი ..... 0:2
შტურმი-ადმირა ..... 4:1

**შტურმის პირველი გოლი ოთარ კიტეიშვილმა გაიტანა**

რაპიდი-ჰარტბერგი ..... 3:3

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანდერლეხტი-ბევერენი ..... 0:0
სტანდარდი-შარლერუა ..... 1:1
ოსტენდე-ანტვერპენი ..... 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ოფი-ასტერასი ..... 3:1
ქსანთი-ვოლოსი ..... 3:1
პანიონიოსი-პანათინაიკოსი ..... 0:1
აეკი-პაოკი ..... 2:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქონია-ქაისერი ..... 2:1
ანკარაგიუჯიუ-გენჩლერი ..... 2:1
ანთალია-მალათია ..... 3:0
ტრაბზონი-ბეშიქთაში ..... 4:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

კარვინა-ოპავა ..... 1:1
პლზენი-სპარტა ..... 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

არკა-პიასტი ..... 0:0
იაგელონია-პოგონი ..... 2:3
ვისლა-კრაკოვია ..... 0:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მარიუპოლი-დესნა ..... 0:4
დინამო-დნიპრო ..... 2:0
ოლიმპიკი-ზორია ..... 0:5

**დანია. სუპერლიგა**

ორხუსი-ნორდსიელანდი ..... 3:1
ოლბორგი-რანდერსი ..... 0:3

**რანდერსის მე-2 გოლი საბა ლობჟანიძემ გაიტანა**

მიდტიულანდი-ოდენსე ..... 0:1
სონდერიისკე-ბრონდბიუ ..... 2:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

გიოტებორგი-ჰაკენი ..... 0:0
სუნდსვალდი-სირიუსი ..... 2:1
ელფსბორგი-აიკი ..... 1:1
ესკილსტუნა-მალმიო ..... 0:1
ფალკენბერგი-ნორჩიოპინგი ..... 0:2

**ნორვეგია. ელიტსერია**

ვალერენგა-რანჰეიმი ..... 1:1
კრისტიანსუნდი-ჰაუგესუნდი ..... 2:2
მიოლდე-ლილესტრიომი ..... 2:1
სარპსბორგი-სტაბეკი ..... 0:0
სტრომგოდსეტი-ოდ გრელანდი ..... 2:3
ბოდო გლიმდტი-ტრომსო ..... 4:0

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ოხუნჯი, ხუმარა ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 2. ესპანური ღვინო; 3. შავი, ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 5. ოპერა „კარმენის“ პერსონაჟი; 6. ელექტროძრავის, ტურბინის მბრუნავი ნაწილი; 8. ნუშისებრი ჯირკვლების ანთება; 11. კუთხმზომი გეოდეზიური ხელსაწყო; 13. ფიროსმანის ფერწერული ტილო; 14. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 15. სამართლის დარგის სპეციალისტი; 19. ჩრდილოეთის ცივი ქარი ზღვის სანაპიროზე.

**თარაზულად:** 1. მყარი საწვავი ნივთიერება; 4. საუზმე სადილსა და ვახშამს შორის; 7. მუნჯი კინოს ფრანგი კომიკოსი; 9. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი, სტალინური პრემიის ლაურეატი; 10. „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი; 12. ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 16. ნეპალის დედაქალაქი; 17. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 18. სამეფო საბჭოს სხდომა ძველად საქართველოში; 20. კიდულ რელსებზე მოძრავი ტვირთის ასაწევი მოწყობილობა; 21. ფეხბურთში მცველის ძველებური სახელწოდება; 22. მოხდენილად, ლამაზად ჩამცმელი მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები**

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 4. ბრაზილია; 6. ტრომბონი; 8. კილიმანჯარო; 10. ფრეგატი; 11. საია; 12. ლიმონი; 14. მარსი; 17. მარკა; 19. ხმალი; 20. პოლონეზი; 21. არკა; 22. ბირდაბირი; 23. მარკეტი.

**შვეულად:** 1. არტისტი; 2. მოკასინი; 3. ანაკლია; 5. იომენები; 7. კამელია; 9. პასაკალია; 13. ტამტამი; 15. ალმასი; 16. კანონი; 18. არისა.

## სამგლოვიარო განცხადებები

### სახალხო ქირურგი



საქართველოში იყო თაობა, რომელმაც დიდი პასუხისმგებლობა აიღო ქვეყანაში მედიცინის, კერძოდ, ქირურგიის დარგის აღმშენებლობისათვის, მომავალი თაობის პროფესიონალურად აღზრდისათვის. ისინი ცნობილი მეცნიერები იყვნენ: გრ. მუხაძე, კ. ერისთავი, ე. ფიფია, მ. ჩაჩავა, გ. იოსელიანი და სხვები, რომლებიც ქმნიდნენ მედიცინის მომავალ ქირურგთა კლასიკურ სისტემას.

მათ საუკეთესო მოწაფეთა რიცხვს ეკუთვნოდა ცნობილი ქირურგი, თავისი საქმის დიდი პროფესიონალი, მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე

### ოთარ ტატიშვილი

ორმოცი დღე გავიდა მისი მოულოდნელი გარდაცვალებიდან. უხმაუროდ, უპრეტენზიოდ, 75 წლის ასაკში დატოვა მისი საფიცარი საქართველო, თბილისი, მშობლიური კახეთი, ოჯახი და დაგვიტოვა ყველას უდიდესი ტკივილი და სევდა.

ო.ტატიშვილმა ფასდაუდებელი კვალი და სახელი დატოვა. ნახევარ საუკუნეზე მეტი ქირურგიული საქმის განვითარებას უანგაროდ ემსახურებოდა – ქირურგიულ ეროვნულ ცენტრში და ღუდუშაურის კლინიკებში, როგორც წამყვანი ქირურგი და პედაგოგი. პატივისცემას, სითბოსა და სიყვარულს, მაღალ პროფესიონალიზმს უნერგავდა მის მიერ აღზრდილ ახალგაზრდა ქირურგთა რამდენიმე თაობას.

ო.ტატიშვილი, როგორც წარმატებული ქირურგი, ომის პერიოდში მივლინებული იყო აფხაზეთში და ოსეთში, ათეულობით უმძიმესი დაჭრილი მეომარი გადაარჩინა და შეუნარჩუნა სიცოცხლე.

ოთარ ტატიშვილმა ცნობილ კარდიოლოგ, დიდებულ ქალბატონ ლუიზა ტატიშვილთან შექმნა სამაგალითო ერთგულებითა და სიწმინდით ქართული ტრადიციული მოსიყვარულე ოჯახი; შვილები – მიხეილი და ქეთევანი ქვეყნის წარმატებული და დაფასებული ადამიანები ბრძანდებიან; შვილიშვილები ანა – მომავალი ექიმი, ალექსანდრე კი სკოლის წარჩინებული მოსწავლეა.

ო.ტატიშვილს ჰქონდა მიღებული უამრავი სახელმწიფო ჯილდო, საპატიო წოდებები, მაგრამ მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო იყო მშობლიური ხალხის, მადლიერი პაციენტების უანგარო სიყვარული, პატივისცემა, სახალხო ქირურგად აღიარება.

დრო ვერასდროს განკურნავს ძვირფასი ადამიანის, მეგობრის მონატრების ტკივილს. იგი იყო უფლისგან მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, რჩეული, ამაყი, სპეტაკი, სამართლიანი, უშიშარი, მისაბაძი, უღალატო, ერთგული მეგობარი, კახური, თავადური სიდარბაისლით, ვაჟკაცური ხიბლით გამორჩეული ჭეშმარიტი რაინდი, დიდებული თამადა, იუმორით სავსე, განათლებული, ერუდირებული, კეთილშობილი ადამიანი.

ოთარ ტატიშვილი თავისი ეპოქის ღირსეული შვილი იყო, სამშობლოსათვის ერთგული, ყველასათვის მისაბაძი, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მისი სახელი უკვდავია აწ და მარადის.

**ვახტანგ გაჩეჩილაძე**

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

1 ოქტომბერი

- აშშ დოლარი — 2.9552
- ევრო — 3.2286
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6319
- 100 რუსული რუბლი — 4.5891

**ამინდის პროგნოზი**
1 ოქტომბერი





**1 ოქტომბრიდან**

**რევაზ მიშველაძე**
რჩეული ნოველები
ორტომეული
ტომი 2




**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**




**8 ოქტომბრიდან**

საქართველოს ისტორია პატარებისთვის
**თამარს უამბო დედამა**
წიგნი II

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**




**5 ნოემბრიდან**

საქართველოს ისტორია პატარებისთვის
**ბაზალეთისა ტბის ძირას**
წიგნი III

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**


## იუმორი

კაცმა გადაწყვიტა, ქორწილის წინა დღეს მეგობრებთან ერთად ფეხბურთი ეთამაშა. თამაშის დროს მეტოქის ფეხი პირდაპირ ღირსებაში მოხვდა. მეგობრებმა ექიმთან გააქანეს. ექიმმა ღირსება ბინტით შეუხვია და გამოუშვა. შემდეგ ქორწილი, პირველი ღამე. სიძე საწოლზე მოწყენილი ზის. ამ დროს სააბაზანოდან მისი მშვენიერი პატარძალი გამოდის და ეუბნება:

— აბა, ძვირფასო, ახლა იმას მიიღებ, რასაც აქამდე არავინ შეჰხებია.

— ჩემი კი ჯერ ისევ შეფუთვაშია.

•••

სტუდენტი გამოცდაზეა, არც ერთ კითხვაზე პასუხი არ იცის. მოთმინებიდან გამოსული პროფესორი ყვირის:

— ნამდვილი სახედარი ხარ! — ამ დროს ასისტენტს გასძახა, — გადი და თივა შემომიტანე!

— მე კი — ფინჯანი ყავა, თუ შეიძლება, — სთხოვა ასისტენტს სტუდენტმა.

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

— როდესაც ფული გინდა, ნაზი და ალერსიანი ხდები.

— კი მაგრამ, მე ხომ ყოველთვის ნაზად და ალერსიანად გექცევი.

— სწორედ მაგას არ ვამბობ?!

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ზიდანი: „აზარი ფორმაში მალე შევა“



მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა განაცხადა, რომ ედენ აზარი მალე შევა ოპტიმალურ ფორმაში და კრიტიკოსებს გააჩუმებს.

ზიდანის აზრით, აზარის ყველა ის თვისება აქვს, რაც რეალში თამაშისთვის არის აუცილებელი:

— მესმის, რომ აზარისგან უფრო მეტს ელიან და ეს ბუნებრივიც არის, რადგან ის მსოფლიო დონის ვარსკვლავია, მაგრამ ყველას მინდა ვუთხრა, რომ დაიცადონ და ისინი აზარის ნამდვილ დონეს იხილავენ. მის შესაძლებლობებში ეჭვი არ მეპარება.

აზარიმ ესპანეთის ჩემპიონატში ჯერ მხოლოდ სამი შეხვედრა ჩაატარა.

## სერხიო რამოსმა შესაძლოა დისკვალიფიკაცია მიიღოს



მადრიდის რეალის ცენტრალურმა მცველმა სერხიო რამოსმა შესაძლოა 6- მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღოს, თუ მას დაუმტკიცდა ის, რომ ატლეტიკოსთან მატჩის დროს მან მსაჯს შეურაცხყოფა მიაყენა.

ესპანეთის საფეხბურთო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი ამ საქმეს იძიებს და უახლოეს დღეებში გადაწყვეტილებას მიიღებს.

თუ რამოსი დაისაჯა, მაშინ ის ბარსელონასთან შეხვედრასაც გამოტოვებს, რომელიც 26 ოქტომბერს გაიმართება.

## კაზემიროს სახლი გაძარცვეს



მადრიდის რეალი ბრაზილიელი ნახევარმცველის კაზემიროს სახლი მაშინ გაძარცვეს, როდესაც რეალის და ატლეტიკოს შეხვედრა მიმდინარეობდა.

ძარცვის დროს კაზემიროს ცოლ-შვილი სახლში იმყოფებოდა, მაგრამ საბედნიეროდ მათ არავითარი ზიანი არ მიადგათ.

ეს უკვე მერამდენე შემთხვევაა, როდესაც ფეხბურთელების სახლებს ძარცვავენ, მაგრამ ჯერჯერობით ისინი განსაკუთრებულ უსაფრთხოების ზომებს არ მიმართავენ.

## ფრანკ რიბერი: „დავბერდი, მაგრამ ფეხბურთიდან წასვლა არ მინდა“

ფიორენტინას ვეტერანმა ფორვარდმა ფრანკ რიბერიმ მილანს გოლი გაუტანა და ამ გოლის წყალობით ფიორენტინამ ის შეხვედრა მოიგო.



მატჩის შემდეგ რიბერიმ განაცხადა, რომ ის გრძნობს თავის ასაკს, მაგრამ ფეხბურთი ძალიან უყვარს და არ უნდა, რომ ამ საქმეს ჩამოსცილდეს:

— ვგრძნობ, რომ ასაკში შევდივარ და ისე ადვილად ვეღარ ვთამაშობ, როგორც ადრე, მაგრამ ეს არ მაღელვებს. ბედნიერი ვარ, რომ ჩემს გუნდს გამარჯვება მოვუტანე და ვარჯიშებზე ბევრს ვშრომობ.

რიბერი ფიორენტინაში ზაფხულში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა.

## დემბელეს ინტერთან თამაში საეჭვოა



უსმან დემბელე კვლავ ტრავმირებულია და მისი თამაში ინტერის წინააღმდეგ საეჭვოა. ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ერნესტო ვალვერდემ განაცხადა, რომ დემბელე სავარაუდოდ ვერც სევილიასთან ითამაშებს და მოედანს ოქტომბრის შუა რიცხვებში დაუბრუნდება:

— დემბელე დისკომფორტს გრძნობს, ამიტომ გარისკვა არ გვინდა. ვფიქრობ ის მხოლოდ რამდენიმე შეხვედრას გამოტოვებს და შემდეგ მოედანს დაუბრუნდება. ინტერთან მისი თამაში თითქმის გამორიცხულია.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ზურა გორგაძე „რუსთავი 2“-ში დაბრუნდა



მსახიობი ზურა გორგაძე ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში დაბრუნდა. მსახიობი, რომელიც ამ არხზე წლების განმავლობაში მუშაობდა, საზღვარგარეთ წავიდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი არხზე დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო.

ზურა გადაცემა „დილა მშვიდობისა საქართველოს“ წამყვანი გახდა და ანი გიუნტერთან ერთად უძღვება დილის ეთერს.

ზურას ამ გადაწყვეტილებამ მისი მეგობრები გააკვირვა, თუმცა მსახიობმა ისინი დაამშვიდა და განუმარტა, რომ „რუსთავი 2“-ში მისთვის მისაღები პირობებია.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## „წიქარა“ ინგლისურად გამოიცემა

ქართული ხალხური ზღაპარი „წიქარა“ ინგლისურად გამოიცემა. ილუსტრატორმა გიორგი ჯინჭარაძემ ზღაპრის მხატვრულ მხარეზე უკვე იმუშავა. ილუსტრირებული „წიქარას“ ყდა უკვე დამზადებულია, თუმცა საბოლოო არაა და უმნიშვნელო კორექტივებია შესატანი.




## ასტროპროგნოზი

### 1 ოქტომბრისათვის



**ვერძი** — წინააღმდეგობრივი დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი მაღალ დონეზეა. აქტიურობა საჭირო არ არის. არც რჩევები მისცეთ ვინმეს. **კურო** — პირად ცხოვრებაში წარმატებას ელოდეთ, მაგრამ მატერიალური პრობლემების მოგვარება არც ისე იოლი აღმოჩნდება. **ტყუპები** — არაკეთილისმყოფელი დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი დაქვეითებულია. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. შესაძლოა, ქრონიკული დაავადებები გაგიმწვავდეთ. **კირჩხიბი** — ოჯახში პრობლემებს იოლად აგვარებთ, მაგრამ ფინანსური მდგომარეობა გიუარესდებათ. ახლობლებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. **ლომი** — ყოფითი პრობლემები დიდ ენერგიას გართმევთ. მოსალოდნელია კონფლიქტი ახლო მეგობრებთან და ნათესავებთან. **ქალწული** — პლანეტები გმფარველობენ. ხელსაყრელ შემოთავაზებას მიიღებთ, რაც მატერიალურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გაგიუმჯობესებთ. **მორიელი** — ილუზიებს ნუ აჰყვებით. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება დროულად მიიღეთ. ნებისმიერ საქმეს თამამად შეეჭიდეთ. **მშვილდოსანი** — დღის პირველ ნახევარში მატერიალური კუთხით სირთულეები შეგხვდებათ. ყურადღება მთავარზე გაამახვილეთ. **თხის რქა** — ივარჯიშეთ, ისეირნეთ, აქტიურად დაისვენეთ. წარმატებული იქნება ნებისმიერი კომერციული საქმიანობა. **მერწყული** — პლანეტები გმფარველობენ. გელით სასიხარულო ახალი ამბავი. ხელსაყრელ შემოთავაზებას მიიღებთ, რაც მატერიალურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გაგიუმჯობესებთ. **თევზები** — ჰარმონიული დღეა. პარტნიორთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა გაქვთ. ოჯახშიც სრული იდილია სუფევს. **თევზები** — დაძაბული ხართ, თუმცა შეგიძლიათ განიტვირთოთ, თუ საყვარელი საქმით დაკავდებით. საოჯახო საქმეების მოგვარება სხვა დროისათვის გადადეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 2. ტერიტორიული ერთეული შვედეთში; 3. წყალმცენარეების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 4. ყველაზე მაღალი მწვერვალი პირინეის ნახევარკუნძულზე; 5. ცხელი ქარი; 8. ზღაპრული ან ისტორიული შინაარსის ლექსი; 9. ფარისევლური ქცევის, ქლესა, ცბიერი ადამიანი; 12. ესპანელი მამაკაცისა და ინდიელი ქალის ქორწინების შთამომავალი; 14. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი — აირი; 16. ფულის ერთეული ჩინეთში.

**თარაზულად:** 1. მთელი სხეულის ძლიერი კრუნჩხვა; 6. ტროპიკებში გავრცელებული წყლის დიდი ფრინველი; 7. ინდოეთის ოკეანისპირა პოპულარული კურორტი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 9. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 10. დედათა მონასტერი ფარავნის ტბის მახლობლად; 11. რაიონული ცენტრი იმერეთში; 13. ფინელი სატირიკოსი, მწერალი; 15. მექანიკური მუსიკალური საკრავი; 17. ერთწლიანი მარცვლოვანი მცენარე; 18. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 19. წინასწარ აღებული მისაღები თანხის ნაწილი; 20. სკანდიელი მეომარი მეზღვაური.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

